გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№17 (1707) 19 — 25 ივნისი ოთხშაბათი 2024 წელი
1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.versia.ge

რა არის და როდის შეიქმნა ვენეციის კომისია

ყველაფერი ევროპის საბჭოს საკონსტიტუციო ორგანოზე

გმირობიდან მოღალატეობამდე



სისხლიანი კრიმინალური სკანდალები – ნაცნობი და უცნობი ფაქტები გიორგი გახარიას პოლიტიკური და პირადი ცხოვრებიდან

როგორ მფარველობდა ბერიას მოადგილე კრიმინალებს

კრიმინალური ამბავი, რომელმაც საბჭოთა ძალოვანებს ძილი დაუფრთხო

1 ივლისიდან პედაგოგების შრომითი ანაზღაურება მინიმუმ – 500, მაქსიმუმ – 800 ლარით გაიზრდება!

რა რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა ტურიზმსა და ავიაციაში – მთავრობის სხდომის ეკონომიკური ასპექტები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობის“ ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები გამართეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები, საინფორმაციო კამპანიის – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ადგილობრივი საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებთან ერთად, გურიის, კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისა და თბილისის სკოლების 1100-ზე მეტ მოსწავლეს, 400-ზე მეტ მშობელს, მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

საინფორმაციო შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა ქორწინების საზიანო შედეგების, ამ მიმართულებით არსებული სამართლებრივი რეგულაციების და ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოსაფხვრელად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. შეხვედრების ფარგლებში, ასევე, ხაზი გაესვა, სახელმწიფოში მოქმედი რეფერირების პროცედურების ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების მნიშვნელობას.

ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სკოლის მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია, კამპანიის ფარგლებში გამოცხადებული ესეების კონკურსის შესახებ, რომლის გამოგზავნაც შესაძლებელია – amianisuflebebi@mia.gov.ge ელექტრონულ ფოსტაზე, 2024 წლის 26 ივნისის ჩათვლით. ასევე, გადასცეს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით დამზადებული ბრენდირებული საჩუქრები.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გაერო-ს ეგიდით გამართულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის“ ხელშემკვრელ მხარეთა კონფერენციის მე-17 სესიაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საქართველოს დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში, გაერო-ს ეგიდით გამართულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის“ (CRPD) ხელშემკვრელ მხარეთა კონფერენციის მე-17 (COSP17) სესიაში.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დელეგაციის წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ორმხრივ შეხვედრებში გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარესთან – გერტრუდ ოფორივა ფეფოამესთან, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დანიშნულ სპეციალურ მრჩეველთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებში – სარა მინკარასთან. ორმხრივი შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, განხორციელებულ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ალექსანდრე დარახველიძე, მრგვალი მაგიდის ფორმატში, დაესწრო შეხვედრას თემაზე – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები რისკის შემცველ და საგანგებო სიტუაციებში“. შეხვედრის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ სიტყვით მიმართა მონაწილეებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ სფეროში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია, რომლის ფარგლებში მხარეებმა არსებულ გამოწვევებსა და ამ გამოწვევების გადაჭრის შესაძლო გზებზე ისაუბრეს.

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული ო.გ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 13 ივნისს, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1975 წელს დაბადებულ მ.წ.-ს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მეხანძრე-მაშველებმა 13 ივნისს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები 13 ივნისს, გარდაცვლილთა მემორიალთან მივიდნენ და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, ასევე, იმყოფებოდნენ, 13 ივნისს დაღუპული მეხანძრე-მაშველის, ზურაბ მუზაშვილის მშობლიურ სოფელში – აღაიანში, სადაც გარდაცვლილი გმირის ოჯახის წევრებთან ერთად, მისი სახელობის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ზურაბ მუზაშვილი, 2015 წლის 13 ივნისს, სხვა მეხანძრე-მაშველებთან ერთად, სტიქიის ეპიცენტრში, ვერეს ხეობაში მუშაობდა. მან წყალდიდობის დროს 6 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო, თავად კი უსაფრთხო ადგილზე გასვლა ვეღარ მოახერხა.

სამეგრელოს პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მუქარის ბრალდებით ორი პირი დააკავა

სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ძმები – 1979 წელს დაბადებული გ.ხ. განზრახ მკვლელობის მცდელობის, ხოლო 1983 წელს დაბადებული გ.ხ. მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გ.ხ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, თანასოფლელი, 1991 წელს დაბადებული მ.ბ. დაჭრა, შემთხვევის დროს დაზიანება მიიღო 1992 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მაც. ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულები, ცივი იარაღისა და სანადირო თოფის დემონსტრირებით, ადგილობრივებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

ორივე ბრალდებული სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 151-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას და მუქარას გულისხმობს.

გმირობიდან მოღალატეობამდე

ნინო დოლიძე

სისხლიანი კრიმინალური სკანდალები – ნაცნობი და უცნობი ფაქტები გიორგი გახარიას პოლიტიკური და პირადი ცხოვრებიდან

იყო დრო, როცა მმართელი პარტიის მიმდევრები მას გმირად მიიჩნევდნენ, მაგრამ დღეს იგივე ადამიანები მტრად და მოღალატედ ნათლავენ. რეალურად ვინ არის ყოფილი პრემიერი და შს ყოფილი მინისტრი – მოღალატე თუ კარიერისტი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას „ვერსია“, „რადიო თავისუფლებისა“ და სხვა ონლაინ-გამოცემების მიერ, სხვადასხვა დროს გავრცელებულ ცნობებზე დაყრდნობით შეეცდება, თუმცა ვიდრე მთავარზე გადავალთ, გიორგი გახარიას ბოლო განცხადებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლის თანახმადაც, ექსპრემიერის პოლიტიკური ძალა თანახმაა, რომ საარჩევნოდ მამუკა ხაზარაძის ლელოსთან გაერთიანდეს.

„ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა პოლიტიკური ძალიდან, რომელიც დღეს საქართველოს პოლიტიკურ ველზე არსებობს, ჩვენთვის ყველაზე ახლო ლელოა. მათ მაგივრად გადაწყვეტილებას მე ხომ ვერ მივიღებ. გაერთიანებამდე სანამ მიხვალ, ელემენტარული თანამშრომლობა ხომ უნდა იყოს. ჩვენ ღია ვართ ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვესმის, რომ ეს არის ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები. არჩევნებს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის ევროპული მომავალი არის დასაცავი. დიდ გლობალურ გაერთიანებაზე რომ საუბრობენ, ერთიან სიებზე და ა.შ., ეს ჩემს ღიმილს იწვევს ხოლმე. გუშინ დაშლილი პარტიები ვერ ნახულობენ ერთმანეთთან საერთო ენას, მერე იქიდან რაღაც კითხვებს ან პრეტენზიებს მე რომ მისვამენ, ამაზე ღიმილის მეტს ვერაფერს ვპასუხობ“, – განაცხადა გახარიამ გადაცემა „პოლიტქალაქში“.

ლელომ გახარიას ამ სურვილს ცოტა ირონიულად უპასუხა ანუ ექსპრემიერის განცხადება ცალმხრივ სიყვარულს შეადარა.

„ეს ყველაფერი ჰგავს ცალმხრივი სიყვარულის ისტორიას გიორგი გახარიას მხრიდან. ცალსახად და მკაფიო შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც წარსულში არ ყოფილა რამე ტიპის კონსულტაცია და კომუნიკაცია გახარიას გუნდთან, არც აწმყოში მიმდინარეობს და არც მომავალში იგეგმება. საზოგადოებაშიც და „ლელოშიც“ არსებობს შეკითხვები გიორგი გახარიას გუნდის მიმართ წარსულთან დაკავშირეით, თუმცა არ გავაგრძელებ ამ ყველაფერს იმიტომ, რომ „ლელოს“ აქვს მორატორიუმი გამოცხადებული თავდაუსხმებლობის შესახებ, რომ უსაგნო კრიტიკა არ მიმდინარეობდეს ოპოზიციურ პარტიებს შორის“, – თქვა გახარიას პასუხად ლელოს ერთ-ერთმა ლიდერმა, ირაკლი კუპრაძემ.

მოკლედ, სანამ გაირკვევა, იწერენ თუ არა პოლიტიკურ ჯვარს ლელო და „გახარიები“, „ვერსია“ გახარიას ერთგვარ X-ფაილს გთავაზობთ.

* * *

2012 წლამდე, როგორც „რადიო თავისუფლება“ იუწყება, გიორგი გახარიას საქართველოში, ვიწრო წრის გარდა, თითქმის არავინ იცნობდა, მათ შორის, არც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, ვისი მხარდაჭერის გარეშეც გიორგი გახარია შთამბეჭდავ პოლიტიკურ კარიერას, ალბათ, ვერ გაიკეთებდა. ყველაფერი კი 2013 წლის მარტიდან დაიწყო, როცა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ახალგაზრდა კადრი, ესე იგი, გიორგი გახარია საქართველოს ბიზნესომბუდსმენად დანიშნა. ამ თანამდებობას ის 2016 წლის ივლისამდე იკავებდა, რის შემდეგაც კარიერულ კიბის მწვერვალზე უსწრაფესად ავიდა. კერძოდ:

2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის სექტემბრამდე გიორგი გახარია მთავრობის ეკონომიკური საბჭოს მდივანია; 2016 წლის 18-დან 30 ნოემბრამდე – მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი; 2016 წლის 27 ნოემბრიდან 2017 წლის 13 ნოემბრამდე – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი; 2017 წლის 13 ნოემბრიდან – 2019 წლის 8 სექტემბრამდე – შინაგან საქმეთა მინისტრი; 2019 წლის 8 სექტემბრიდან 2021 წლის 18 თებერვლამდე – პრემიერ-მინისტრი.

2021 წლის 29 მაისს გახარია პარტია საქართველოსთვის აფუძნებს და მისი თავმჯდომარე ხდება. მალევე ის თბილისის მერობისთვის იწყებს ბრძოლას, თუმცა არ უმართლებს.

2021 წლის 27 სექტემბერს, კომპანია „ედისონ რისერჩის“ მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2 ოქტომბრის თვითმართველობის არჩევნებში, გიორგი გახარია მხოლოდ მმართველი პარტიის კანდიდატს, კახა კალაძესა და მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, ნიკა მელიას ჩამორჩებოდა:

კახა კალაძე– 43%;
ნიკა მელია – 30%;
გიორგი გახარია – 12%.

სხვათა შორის, ამ არჩევნების დროს, საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ყოფილ თანაპარტიელსა და ლიდერს „კაცი არავინ“ უწოდა:

„ეს კაცი იყო არავინ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ ჩამოვიდა, მოიყვანა და რეკომენდაცია გაუწია ხუხაშვილმა და მაშინ დაინიშნა ჯერ ბიზნესომბუდსმენად, შემდეგ ეკონომიკის მინისტრად, შინაგან საქმეთა მინისტრად, შემდეგ პრემიერ-მინისტრად, ეს ყველაფერი ხდება, რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ნდობით. ამხელა ნდობა გამოუცხადა კაცმა და ეს „არავინ“ აქცია კაცად“.

ბიძინა ივანიშვილის ყოფილი თანაშემწე გია ხუხაშვილი არ უარყოფს თავის წვლილს გიორგი გახარიას „პოლიტიკურ დაბადებაში“:

„ეს საკითხი რომ ამოვწუროთ, გახარია სისტემაში აღმოჩნდა ასე: 1. მამამისმა მომიტანა JV; 2. გავესაუბრე; 3. გავაცანი ივანიშვილს; 4. დავნიშნეთ ბიზნესომბუდსმენად; 5. მის შემდგომ კარიერულ სვლაში მონაწილეობა არ მიმიღია“.

რას აკეთებდა პოლიტიკამდე

გიორგი გახარია 1975 წლის 19 მარტს, ზაურ გახარიასა და მზია ლეჟავას ოჯახში დაიბადა.

ზაურ გახარია პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ დაფუძნებული სახალხო მოძრაობა სამეგრელოს კოორდინატორია, დედა მზია ლეჟავა კი საქართველოს ეროვნული არქივის ყოფილი თანამშრომელი.

1992-1994 წლებში, მომავალი პოლიტიკოსი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა; 1994-1999 წლებში კი – მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

2003-2004 წლებში გახარია ამავე უნივერსიტეტის უმაღლეს ბიზნესსკოლაში სწავლობს, რომლის დასრულების შემდეგაც ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხს იღებს.

2006-2009 წლებში, ის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მოწვეული ლექტორი გახლდათ.

2008 წლის ნოემბერიდან 2013 წლის თებერვლამდე Lufthansa Service Holding AG. (LSG, Frankfurt am Main) Germany GR & ბიზნესის განვითარების დირექტორია აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციაში.

პოლიტიკური კარიერის მნიშვნელოვანი მომენტები

გიორგი გახარია, სახელმწიფო თანამდებობებზე ყოფნისას, ხშირად ექცეოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

ასე, მაგალითად, ბიზნესომბუდსმენობისას, კომპანია „ემენ ჯორჯიას“ მფლობელმა, ვახტანგ გოძიაშვილმა მას ბრალი ზეწოლაში დასდო, რომლის შემდეგაც, კომპანია იძულებული გახდა, მუშაობა შეეჩერებინა. გახარიამ ბრალდებები უარყო:

„მივიჩნევთ, რომ მსგავსი განცხადებებით ბიზნესმენი, უპირატესობის მოპოვების მიზნით, განხორციელებული ქმედებების გადაფარვას ცდილობს“.

უკიდურესად ხმაურიანი აღმოჩნდა გიორგი გახარიას ორწლიანი შს მინისტრობაც და აი, რატომ:

ჩატაევის ლიკვიდაცია

2017 წლის 21 ნოემბერს, როცა გიორგი გახარია შს მინისტრად ერთი კვირის დანიშნული იყო, თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ანტიტერორისტული სპეცოპერაცია დაიწყო, რომელიც 20 საათზე მეტხანს მიმდინარეობდა.

ორმხრივი სროლის დროს, დაიღუპა ერთი სპეცრაზმელი, აჰმედ ჩატაევმა კი თავი აიფეთქა, კიდევ ორი პირი ლიკვიდირებულ იქნა.

სპეცრაზმელის დაღუპვამ და ოპერაციის ხანგრძლივობამ ბევრი კითხვა გააჩინა შს სამინისტროს ხელმძღვანელობის კომპეტენციასთან დაკავშირებით.

სარალიძის საქმე

2017 წლის 1 დეკემბერს, თბილისის 51-ე სკოლის მოსწავლეები – ლევან დადუნაშვილი და დავით სარალიძე, ხორავას ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში სასიკვდილოდ დაჭრეს.

მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, შს მინისტრმა გიორგი გახარიამ დარწმუნებით განაცხადა, რომ **„დანაშაულში მონაწილე ყველა პირი დადგენილი და დაკავებულია“,** თუმცა დანაშაულში მონაწილე ყველა პირის დასაკავებლად საჭირო გახდა მოკლული დავით სარალიძის მამის, ზაზა სარალიძის 18-თვიანი მძაფრი საპროტესტო მოძრაობა და დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნა.

ხაზარაძე-ჯაფარიძისა და ანაკლიის საქმე

2019 წელს, „თი-ბი-სი ბანკის“ დამფუძნებლების – მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. მათთან ერთად, ე.წ. ფულის გათეთრების საქმეში

დასასრული მე-4 გვერდზე

გმირობიდან მოღალატეობამდე

მე-3 გვერდიდან

ფიგურირებდნენ ტვ „პირველის“ დამფუძნებლის, ვახტანგ წერეთლისა და მისი მამის, ავთანდილ წერეთლის კომპანიები.

მამუკა ხაზარაძის თქმით, 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების წინ, გიორგი გახარიამ მუქარის წერილი გადასცა, ტელეკომპანია „პირველის“ დამფუძნებელს კი „იმედის“ ტრენდზე გადასვლა მოსთხოვა.

ანაკლიის პროექტს პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც „თიბისი ჯგუფის“ მაშინდელ ხელმძღვანელებს – მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს 2008 წლის ტრანზაქცია გაუხსენეს და ფულის გათეთრებაში დასდეს ბრალი.

2020 წლის იანვარში, მთავრობამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმს 2016 წელს გაფორმებული შეთანხმება შეუწყვიტა და ოფიციალურ მიზეზად ვალდებულებების შეუსრულებლობა დაასახელა.

გიორგი გახარიამ უარყო ბრალდებები და მუქარის წერილის არსებობა.

„მალე დაესმება წერტილი ამ წერილის ისტორიას. პროკურატურა, რა თქმა უნდა, როგორც კი შემადგენლობა იქნება, დაიწყებს გამოძიებას, გახარია კი იქნება პირველი, ვინც მივა და ჩვენებას მისცემს“, – განაცხადა მან.

ბასიანის საქმე

2018 წლის 12 მაისს, გვიან ღამით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მდებარე ღამის კლუბებში – „ბასიანსა“ და „გალერიში“ სპეცოპერაცია ჩაატარა. კლუბებში შეიარაღებული სპეცრაზმი შეიჭრა.

შსს-მ განაცხადა, რომ დააკავეს ნარკოტიკების 8 რეალიზატორი, თუმცა როგორც გაირკვა, ისინი სპეცოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე, ღამის კლუბების გარეთ, სხვადასხვა ადგილზე აიყვანეს.

სპეცოპერაციას თბილისში მასშტაბური საპროტესტო აქცია მოჰყვა, რომლის მონაწილეები შს მინისტრისგან მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას, საპოლიციო სისტემისა და ნარკოპოლიტიკის რეფორმას ითხოვდნენ.

14 მაისს, აქციაზე, გიორგი გახარია მივიდა და მის მონაწილეებს ბოდიში მოუხადა სპეცოპერაციის დროს, ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის გამო.

„მოდი, დავიწყოთ ბოდიშით: ბოდიში!“ – მიმართა გიორგი გახარიამ აქციის მონაწილეებს და პირობა დადო, რომ მკაცრი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მიზნით, ხელისუფლება მუშაობას გააქტიურებდა.

პანკისის ოპერაცია

2019 წლის 21 აპრილს, პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზანზე ჰესების მშენებლობისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, პოლიციასა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დაპირისპირება მოხდა. ხეობაში დამატებითი საპოლიციო ძალებისა და ტექნიკის შეყვანამ უკიდურესად გააღიზიანა ადგილობრივები. პოლიციამ რეზინის ტყვიები დაუშინა შეკრებილებს, რომლებმაც დაწვეს და დაამტვრიეს შს სამინისტროს მანქანები და ტექნიკა, ასევე ჰესების მშენებელი კომპანიის კუთვნილი ტრაქტორი.

საღამოს პანკისის ხეობაში მინისტრი, გიორგი გახარია ჩავიდა და აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ ჰესის სამშენებლო სამუშაოები შეჩერდებოდა მანამდე, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობა მშენებლობას არ დათანხმდებოდა. შსს-ს მონაცემებით, დაპირისპირების შედეგად 55 ადამიანი დაშავდა, მათ შორის, 38 პოლიციელი, თუმცა პასუხისგებაში არავინ მიუციათ.

გავრილოვის ღამე

2019 წლის 20 ივნისს, თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სესიის დროს, რუსეთის დუმის კომუნისტმა დეპუტატმა, სერგეი გავრილოვმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა, რამაც საზოგადოების დიდი აღშფოთება და მასშტაბური საპროტესტო აქცია გამოიწვია.

გვიან ღამით, სამართალდამცველებმა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის დაშლა დაიწყეს. ხუთი საათის განმავლობაში, გამოყენებულ იქნა რეზინის ტყვიები, გაზისა და წყლის ჭავლი.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აქციაზე 240 ადამიანი დაშავდა: 129 აქციის მონაწილე, 31 ჟურნალისტი და 80 პოლიციელი. რამდენიმე ადამიანმა რეზინის ტყვიის მოხვედრის შედეგად, მხედველობა დაკარგა, მათ შორისაა მაკო გომური. ამის გამო, გახარიას ხალხმა „თალთხარია“ შეარქვა.

„20 ივნისი ჩემი მორალური ტვირთია და მე ამ ტვირთს ვატარებ“, – განაცხადა მოგვიანებით გიორგი გახარიამ.

გავრილოვის ღამის შემდეგ დაიწერა სიმღერა: **„როცა ბავშვებს ხვდება ტყვია, გახარიას უხარია!“**

პრემიერ-მინისტრად დანიშვნა

„ქართულმა ოცნებამ“ შს მინისტრი გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ წარადგინა. მმართველი პარტიის არც ერთ წევრს, არც კენჭისყრის დროს და არც მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ეჭვი არ შეუტანია გახარიას პროფესიონალიზმსა და ღირსებაში.

„მთავარი, რის გამოც გიორგი გახარია ამ პოზიციაზე შეირჩა ის არის, რომ ჩვენ შორის საუკეთესოა“, – თქვა იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა, თეა წულუკიანმა.

საპარლამენტო სიის პირველი ნომერი

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, გიორგი გახარია მმართველი პარტიის სიის პირველი ნომერი იყო და მას უკიდურესად დადებითად ახასიათებდა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, არჩილ თალაკვაძე:

„ვფიქრობ, ის იმსახურებს იმას, რომ „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი იყოს. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან რთულ მომენტში, როცა ქვეყანა, ფაქტობრივად, ეგზისტენციური გამოწვევის წინაშე იდგა COVID-19-ის გამო, მან პროცესების ეფექტური მართვა უზრუნველყო. მან უზრუნველყო ის, რომ ქვეყანაში ვირუსის გავრცელების შეკავება მოხდა და ქვეყანამ დროულად შეძლო დაბრუნებოდა ისეთ ამოცანებს, როგორიც არის ეკონომიკის სტაბილიზაცია და აღდგენა“.

„ბუზი ყველა ბზუის, მაგრამ გახარიასთან ყველა ტყუის“, – განაცხადა მმართველი პარტიის მაშინდელმა თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

გადადგომა

გიორგი გახარიასადმი მმართველი პარტიისა და ხელისუფლების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა მისი თანამდებობიდან გადადგომისა და საკუთარი პარტიის დაფუძნების შემდეგ.

გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან 2021 წლის 18 თებერვალს, მას შემდეგ გადადგა, რაც მიზანშეუწონლად მიიჩნია ნაციონალური მოძრაობის ოფისში, მხარდამჭერებთან ერთად გამაგრებული ნიკა მელიას პოლიციური ოპერაციით დაკავება, რადგან მისი თქმით, **„ამით საფრთხე შეექმნებოდა მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს“.**

2021 წლის 29 მაისს, გიორგი გახარიამ დააფუძნა პარტია „საქართველოსათვის“, რომელშიც მმართველი პარტიიდან წასული ბევრი სახელმწიფო მოხელე გაწევრიანდა.

7 ივნისს, ღია წერილი გაავრცელა „პოლიტიკიდან წასულმა“ ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც გიორგი გახარიას გადადგომას **„საკუთარი გუნდისა და საკუთარი სახელმწიფოს პირდაპირი ღალატი“** უწოდა.

„კოკაინშიკი და იუდა“

გიორგი გახარია და მის მიერ დაფუძნებული პარტია „საქართველოსათვის“ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა.

როგორც კომპანია „ედისონ რისერჩის“ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევამ აჩვენა, გიორგი გახარიას თბილისის მერობას გამოკითხულთა 12% უჭერდა მხარს და ამ მაჩვენებლით, ის მხოლოდ კახა კალაძეს (43%) და ნიკა მელიას (30%) ჩამორჩებოდა.

გიორგი გახარიას განსაკუთრებული სიმძაფრით ყოფილი თანაგუნდელები აკრიტიკებდნენ და დღესაც ასეა.

„მავნებლურად წავიდა და დააყენა საკუთარი კანდიდატურა, რომ იქნებ, თეორიულად მეორე ტურის ალბათობა გაზარდოს და აქაც მელიას გაუწია სამსახური. ერთი იუდა ყველა გუნდში არის და არაფერი გასაკვირი არ არის“, – განაცხადა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი კობახიძემ კი ყოფილ თანაპარტიელს „კოკაინშიკი“ (კოკაინის მომხმარებელი) უწოდა.

გიორგი გახარიამ ბრალდების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად მიმართა არა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, არამედ, ავსტრიაში მდებარე ლაბორატორიას (FTC-Forensisch-Toxikologisches Labor), რომელმაც თმის ნიმუშის კვლევის საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს არცერთი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება არ უდასტურდება.

„არა ჩადებას“, – დაწერა გიორგი გახარიამ სოციალურ ქსელ Facebook-ში, სადაც ასევე გამოაქვეყნა ავსტრიული კლინიკიდან მიღებული დასკვნა.

ოჯახი

მაშინ, როცა თნამდებობები ეკავა, გიორგი გახარიას პირად ცხოვრებაზე ბევრი არაფერი იყო ცნობილი. მას შემდეგ, კი რაც ოპოზიციაშია, საზოგადოებამ გაიგო, რომ მისი მეუღლე 1983 წლის 10 აპრილს დაბადებული მარიკა ფანცულაიაა.

წყვილს შვილი – ანნა ჰყავს.

მარიკა ფანცულაია პროფესიით ექიმ-ბაქტერიოლოგია.

სხვათა შორის, გახარიას დაც, თამუნა, მედიცინის მუშაკია. თამუნა გახარია დაოჯახებული გახლდათ თბილისელ ანდრეი ტოლსტოიზე, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

* * *

ერთი სიტყვით, ასეთია გიორგი გახარიას პოლიტიკური და პირადი X-ფაილი. ისე, გახარიას ლელოსთან გაერთიანების სურვილი კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები არ არსებობენ. ასე რომ იყოს, მაშინ გახარია, რომლის თანამდებობაზე ყოფნის დროსაც, ხაზარაძე-ჯაფარიძემ ანაკლიის პორტი დაკარგეს, ხმამაღლა თქმასაც ვერ გაბედავდა, რომ ლელოს ტოლად და სწორად მიიჩნევს, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში ხომ ყველაფერი „მოსულა“...

1 ივლისიდან პედაგოგების შრომითი ანაზღაურება მინიმუმ – 500, მაქსიმუმ – 800 ლარით გაიზრდება!

მაკა რუხაძე

რა რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა ტურიზმსა და ავიაციაში – მთავრობის სხდომის ეკონომიკური ასპექტები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით, ქვეყნის მასშტაბით, 1 ივლისიდან, პედაგოგების ხელფასი მინიმუმ – 500, მაქსიმუმ – 800 ლარით გაიზრდება. ყველაფერი ეს ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლების შედეგად განხორციელდება, რამაც მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის 360 მილიონი ლარით გაზრდის შესაძლებლობას მისცა. გაზრდილი ბიუჯეტი კი ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, თავდაცვის სფეროებსა და რეგიონული განვითარების მიმართულებაზე გადანაწილდება.

ორშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პირველი ოთხი თვის განმავლობაში, დაფიქსირდა 9%-იანი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. სწორედ ეს გვაძლევს ბიუჯეტის გაზრდის შესაძლებლობას. სამომავლოდ, ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება და ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს 360 მილიონი ლარი დაემატება.

„ეს ზრდა არსებითად გადანაწილდება ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, თავდაცვა, ასევე რეგიონული განვითარება. ძალიან მნიშვნელოვანია არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება, ზრდის კიდევ უფრო მეტად დაჩქარება, რაც პირდაპირ აისახება ბიუჯეტზე და ეს მონაცემებიც ამის ძალიან კარგი მაგალითია“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

გარდა ამისა, 1 ივლისიდან, მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ახალი სქემა ამოქმედდება, რომლის მიხედვით 37 000 მასწავლებელს, რაც მასწავლებლების კონტინგენტის 70%-ია, ანაზღაურება, სულ მცირე 500 ლარით გაეზრდება, მათ შორის, მასწავლებელთა გარკვეულ კატეგორიას შრომის ანაზღაურება – 800 ლარით. პრემიერ-მინისტრის თქმით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რეფორმები გაგრძელდება, როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების ყველა სფეროში.

„ჯერ კიდევ შარშან დაანონსდა, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება მასწავლებლების შრომის ანაზღაურების ახალი სქემა და საშუალო ზრდა იქნება 500 ლარი. ჩვენს საჯარო სკოლებში სულ არის 52 000 მასწავლებელი, აქედან 37 000 მასწავლებელს, რაც მასწავლებლების კონტინგენტის 70%-ია, ანაზღაურება გაეზრდება სულ მცირე 500 ლარით, მათ შორის, მასწავლებელთა გარკვეულ კატეგორიას შრომის ანაზღაურება გაეზრდება 800 ლარით და მეტით, დაახლოებით, 25%-ს გაეზრდება ანაზღაურება 300 ლარით. ყველა პედაგოგს, სულ მცირე 200 ლარით გაეზრდება შრომის ანაზღაურება. ეს არის ანაზღაურების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც საბოლოო ჯამში, ბუნებრივია, დადებითად აისახება მთლიანად ზოგადი განათლების სისტემაზე, განათლების ხარისხზე ჩვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს არის ერთი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას განათლების სისტემის შემდგომი განვითარების მიმართულებით და გაგრძელდება რეფორმების განხორციელება შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში. როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების ყველა სფერო იქნება ჩვენი რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება და პრიორიტეტი. პარალელურად, გაგრძელდება მუშაობა კარიერული ზრდის სისტემის დახვეწაზე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. იყო გარკვეული ნაკლოვანებები ამ მიმართულებით და მინისტრთან ერთად აქტიურად გავაგრძელებთ ამ თემებზე მუშაობას“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის სხდომაზე, ირაკლი კობახიძე ტურიზმსა და ავიაციაში არსებულ რეკორდულ მაჩვენებლებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ წელს, მთავრობა ტურიზმიდან 4.5 მილიარდი დოლარის შემოსავლებს და 7.9 მილიონ საერთაშორისო მოგზაურს ელოდება. პრემიერის თქმით, კვარტალურ ჭრილში დაფიქსირდა რეკორდული შემოსავლები ტურიზმიდან – 808 მილიონი დოლარი, რამაც პანდემიამდელ მაჩვენებელს 40%-ით გადააჭარბა.

„ეს არის რეკორდული მაჩვენებელი. ჩვენ ამ კვარტალში ვუმასპინძლეთ 1 300 000 საერთაშორისო მოგზაურს, რაც შარშანდელთან შედარებით, 8%-იანი ზრდაა. რაც შეეხება საერთაშორისო ტურისტებს, აქაც გვაქვს რეკორდული მაჩვენებელი – ჩვენს ქვეყანაში, ერთი კვარტლის განმავლობაში, ვუმასპინძლეთ 939 000 ტურისტს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მანვე ავიაციის სფეროში არსებულ მაჩვენებლებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონზე შესრულდება 13 600 ავიარეისი, რაც ასევე ისტორიული მაქსიმუმია.

„ევროპაში, კონკრეტულად 11 ავიაკომპანია ასრულებს რეისებს, 38 მიმართულებით, რაც ასევე ისტორიულად ყველაზე მაღალი შედეგია. წელს, საქართველოში ოპერირებს 50 ავიაკომპანია, რაც ისტორიული მაქსიმუმია. 2011 წელს, მხოლოდ 23 ავიაკომპანია ოპერირებდა საქართველოში. ასევე, დაფიქსირდა ისტორიული მაქსიმუმი აეროპორტებში მგზავრთნაკადის კუთხითაც – 1 400 000 მგზავრს გადააჭარბა მგზავრთნაკადმა ჩვენს აეროპორტებში. გვაქვს კარგი ტენდენციები და შესაბამისად, ოპტიმიზმის ძალიან კარგი საფუძველი. წლიურ ჭრილში, 4.5 მილიარდი დოლარის შემოსავლებს ველოდებით კონკრეტულად ტურიზმის სფეროდან, რაც შარშანდელი მაჩვენებლის 9%-იანი გაუმჯობესება იქნება. ველოდებით 7.9 მილიონ საერთაშორისო მოგზაურს, 5.2 მილიონ საერთაშორისო ტურისტს, რაც იქნება ისტორიული მაქსიმუმი. ძალიან კარგი მონაცემებია ტურიზმის და ავიაციის სფეროში და ჩვენი ამოცანაა, კიდევ უფრო მეტად გავაუმჯობესოთ ზრდის ტემპები, რისი ძალიან კარგი პერსპექტივებიც არსებობს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი კობახიძე მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის მიერ, იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერის შეძენასა და ეროვნული მუზეუმისთვის გადაცემას. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებამ, წლების განმავლობაში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, შენარჩუნებაში და შესაბამისად – ჩვენი იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაში.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერის შეძენისა და ეროვნული მუზეუმისთვის გადაცემისთვის, რაც არის ძალიან დიდი შენაძენი მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი, რომელიც 979 წლით თარიღდება და ეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილის უპრეცედენტო ქველმოქმედების კიდევ ერთი, არაჩვეულებრივი მაგალითი. ამ ქველმოქმედებას ბატონი ბიძინა უკვე მრავალი წელია ეწევა. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამ ქველმოქმედებამ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, შენარჩუნებაში და შესაბამისად – ჩვენი იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაში. ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს. საუკუნეების მანძილზე ჩვენს ეროვნულ მუზეუმში დაიდებს ბინას იოანე ზოსიმეს ეს უნიკალური ხელნაწერი“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა წარმატებები უსურვა საქართველოს ნაკრებს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა 18 ივნისიდან დაიწყო.

„საქართველოს ნაკრები იწყებს ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატზე. ეს არის დღე, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ველოდით მრავალი წლის განმავლობაში და კიდევ უფრო მძაფრად, ბოლო სამი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონატის საგზური და პირველად ისტორიაში, ევროპის ჩემპიონატზე – უმაღლესი რანგის საფეხბურთო ტურნირზე აღიმართება საქართველოს დროშა, აუღერდება საქართველოს ჰიმნი და წარმოუდგენელი ემოციაა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანისთვის, თითოეული გულშემატკივრისთვის და თითოეული ქართველისთვის. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ათი ათასზე მეტი ქართველი გულშემატკივარი დაესწრება თითოეულ მატჩს. ამაში მოკრძალებული წვლილი ჩვენც შევიტანეთ ფრენების სუბსიდირებით და მოხარულები ვართ, რომ ძალიან წარმატებით განხორციელდა ეს პროექტი. 195 ევრო იყო ბილეთის საფასური, რამაც გაუმარტივა ჩვენს გულშემატკივრებს გერმანიაში მოგზაურობა და თამაშებზე დასწრება. წარმატებას ვუსურვებ ბიჭებს, დარწმუნებული ვარ, რომ ისეთივე თავდადებით ითამაშებენ ისინი ევროპის ჩემპიონატზე, როგორი თავდადებითაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის საგზური. ჩვენ გვყავს საამაყო ფეხბურთელები და მინდა, მათ ვუსურვო გამარჯვებები, რაც მთავარია – ჯგუფიდან გასვლა. დარწმუნებულები ვართ, რომ მათი ჟინით, ისინი აუცილებლად შეძლებენ და მიაღწევენ ამ მნიშვნელოვან წარმატებას“, – დასძინა პრემიერმა.

რა არის და როდის შეიქმნა ვენეციის კომისია

ნინო დოლიძე

ბოლო დროს, ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში დამკვიდრდა ე.წ. ტერმინი ვენეციის კომისია. ვენეციის კომისია განსაკუთრებით აქტუალური უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის პერიპეტიებისას გახდა. და მაინც, რა არის და რა მისია აქვს ვენეციის კომიას? – „ვერსია“, ქართულ „ვიკიპედიაზე“ დაყრდნობით, ვენეციის კომისიის ერთგვარ ანოტაციას გთავაზობთ.

ვენეციის კომისია ანუ ოფიციალურად, ევროპული კომისია, სამართლის მეშვეობით, დემოკრატიის დასაცავად, ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც შედგება კონსტიტუციური სამართლის დარგის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან. ის 1990 წელს, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საკონსტიტუციო დახმარების გადაუდებელი აუცილებლობის დროს შეიქმნა.

ყველაფერი ევროპის საბჭოს საკონსტიტუციო ორგანოზე

შექმნა

სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დამცველი კომისიის, როგორც საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის იდეა, იტალიის საზოგადოებრივი პოლიტიკის კოორდინაციის მინისტრმა, ანტონიო მარიო ლა პერგოლამ ჩაიფიქრა. სახელიც მანვე, საკუთარი თეორიის გამო შეარჩია, რომლის მიხედვითაც, მდგრადი დემოკრატიები შეიძლებოდა მხოლოდ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ ჩარჩოში აშენდეს.

კომისიის შექმნის შესახებ ოფიციალური წინადადება წარადგინა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯანი დე მიკელისმა, რომელმაც 1989 წლის 31 მარტიდან 1 აპრილამდე, ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრები ვენეციაში მიიწვია, კონფერენციაზე – „კონფერენცია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად ევროპული კომისიის შექმნისთვის“.

ამ შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, ევროპის საბჭოს წევრი 21 ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებთან ერთად.

მინისტრთა კომიტეტმა, რომელსაც სურდა დახმარებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, დაამტკიცა კომისიის შექმნა, როგორც ნაწილობრივი შეთანხმება ვენეციის სესიაზე, 1990 წლის 19-20 იანვარს. ამ შეხვედრაში, დამკვირვებლების სახით, მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრები.

1990 წლის 10 მაისს, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მინისტრებმა 18 ქვეყნიდან (ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პორტუგალია, სან-მარინო, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია და თურქეთი) მიიღეს კომისიის დებულება.

წევრი ქვეყნები

18 წევრი ქვეყნიდან დაწყებული, მალე ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყანა შეუერთდა ვენეციის კომისიას.

2002 წლიდან, არაევროპული სახელმწიფოებიც შეიძლება გახდნენ სრულუფლებიანი წევრები. 2014 წლის 13 ივლისის მდგომარეობით, კომისია ითვლის 60 წევრ სახელმწიფოს – ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოსა და 13 სხვა ქვეყანას.

ბელარუსი კომისიის ასოცირებული წევრია.

კომისიას ხუთი დამკვირვებელი წევრი ჰყავს.

პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას და სამხრეთ აფრიკას აქვთ დამკვირვებლების მსგავსი თანამშრომლობის სპეციალური სტატუსი.

ევროკავშირი, ეუთო/ODIHR და IACL/AIDC (კონსტიტუციური სამართლის საერთაშორისო ასოციაცია/Association Internacionale de droit constitucionnel) მონაწილეობას იღებენ კომისიის პლენარულ სხდომებში.

წევრები

წევრები არიან „უფროსი აკადემიკოსები, განსაკუთრებით კონსტიტუციური ან საერთაშორისო სამართლის სფეროებში, უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები ან ეროვნული პარლამენტების წევრები“.

კომისიაში მოქმედებენ თავიანთი ინდივიდუალური უფლებამოსილებით, წევრები ინიშნებიან ოთხი წლის ვადით, მონაწილე ქვეყნების მიერ.

საქმიანობის სფეროები

ვენეციის კომისიის მუშაობის ძირითადი აქცენტი კონსტიტუციების პროექტებსა და საკონსტიტუციო ცვლილებებზეა, მაგრამ კომისია ასევე განიხილავს პარაკონსტიტუციურ ანუ კონსტიტუციასთან მიახლოებულ კანონებს.

კომისიას მოსაზრების მომზადების თხოვნით მიმართავს მონაწილე სახელმწიფო, ევროპის საბჭოს რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია. კომისიის მიერ მიღებული მოსაზრებები არ არის სავალდებულო, მაგრამ უმეტესად მას მიჰყვებიან წევრი სახელმწიფოები.

კომისიის საქმიანობის სფეროებია:

დემოკრატიული ინსტიტუტები და ძირითადი უფლებები.

ვენეციის კომისიის უპირველესი ამოცანაა, დაეხმაროს და რჩევები მისცეს ცალკეულ ქვეყნებს კონსტიტუციურ საკითხებში, რათა გაუმჯობესდეს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და ადამიანის უფლებების დაცვა. უკვე 1991 წელს, კომისიამ ხელი შეუწყო რუმინეთის პირველი დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნას, 1947 წლის შემდეგ.

მუშაობის მეთოდი

სამუშაო მეთოდი ასეთია: როცა კომისია ამხადებს მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე, ის ჯერ ქმნის მომხსენებელთა სამუშაო ჯგუფს (ძირითადად, მისი წევრებისგან), რომელიც უწევს კონსულტაციას ეროვნულ ხელისუფლებას შესაბამისი კანონის მომზადებაში. ქვეყნის ეროვნულ ხელისუფლებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შემდეგ, სამუშაო ჯგუფი ამზადებს დასკვნის პროექტს, აკმაყოფილებს თუ არა საკანონმდებლო ტექსტი თავის სფეროში არსებულ დემოკრატიულ სტანდარტებს და როგორ გავაუმჯობესოთ იგი საერთო გამოცდილების საფუძველზე. დასკვნის პროექტი განიხილება და მიიღება ვენეციის კომისიის მიერ პლენარულ სესიაზე, როგორც წესი, ამ ქვეყნის წარმომადგენლების თანდასწრებით. მიღების შემდეგ, მოსაზრება ხდება საჯარო და გადაეგზავნება მომთხოვნ ორგანოს.

არადირექტიული მიდგომა

მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსაზრებები ძირითადად ასახულია მიღებულ კანონმდებლობაში, ვენეციის კომისია წევრ ქვეყანას მის გადაწყვეტილებას თავს არ ახვევს. ამის მაგივრად, ის ირჩევს არადირექტიულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია დიალოგზე. ამ მიზეზით, სამუშაო ჯგუფი, როგორც წესი, სტუმრობს შესაბამის ქვეყანაში და ხვდება საკითხში ჩართულ სხვადასხვა პოლიტიკურ მოთამაშეებს, რათა ჩამოუყალიბდეს სიტუაციაზე ობიექტური ხედვა.

კონფლიქტის მოგვარება იურიდიული კონსულტაციის გზით

კონფლიქტის მოგვარების, პოლიტიკური შეთანხმება უნდა იყოს გამყარებული ეფექტური სამართლებრივი ტექსტით. ასევე შესაძლებელია სამართლებრივი ტექსტის შეთანხმება პოლიტიკური გადაწყვეტის ხელშეწყობისთვის. ამიტომ ვენეციის კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ქვეყნებს, რომლებიც განიცდიან ან გაიარეს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები. ამ კონტექსტში, ევროკავშირის მოთხოვნით, ვენეციის კომისიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოსნია და ჰერცეგოვინის, ჩრდილოეთ მაკედონიის, სერბეთისა და მონტენეგროს, ასევე კოსოვოს კონსტიტუციური სამართლის შემუშავებასა და ინტერპრეტაციაში. ის ასევე მონაწილეობდა საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, და მოლდოვაში დნესტრისპირეთის სტატუსთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარების მცდელობებში.

* * *

2022 წლის ივნისში, ევროკავშირმა სთხოვა კანდიდატ ქვეყნებს – უკრაინას და მოლდოვას და იმ დროისთვის აპლიკანტ ქვეყანას, საქართველოს, გაეტარებინათ ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა რეფორმები, ევროკავშირში ინტეგრაციის გასაგრძელებლად.

* * *

2009 წელს, ვენეციის კომისიამ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება მისი მოსაზრების გამო, რომ „ღვთის გმობა არ უნდა იყოს უკანონო“.

ანგარიში პოლონეთის შესახებ

2017 წლის დეკემბერში, ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც აკრიტიკებდა პოლონეთის მთავრობის მცდელობას, გაეტარებინა საკანონმდებლო რეფორმები პოლონეთის უზენაესი სასამართლოს გასაკონტროლებლად. მოხსენებამ აიძულა ევროკავშირი, გამოეყენებინა მისი დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-7 მუხლი, რომელიც ემუქრება პოლონეთს ევროკავშირის ინსტიტუტებში ხმის უფლების დაკარგვით.

ფინანსური სახის რა დარღვევები გამოვლინდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მდგომარეობით დაინტერესდა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე მის კონტროლს დაქვემდებარებულ ერთეულებს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინეს, თუმცა მათ გამოსასწორებლად შესაბამისი რეკომენდაციებიც გასცეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საღრიცხო სისტემის ნაკლოვანებები

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საღრიცხვო ჩანაწერებისთვის იყენებენ პროგრამა MS Excel-ს, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს, წარდგენილი ფაილების დამუშავება კი მოითხოვს დროისა და ადამიანურ რესურსს.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება საღრიცხვო რეგისტრებს. კერძოდ, წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ფინანსური შედეგების ანგარიშგების მიხედვით, ხარჯები 809 654 ლარით, ხოლო შემოსავლები – 11 347 ლარით მეტია საღრიცხვო მონაცემებზე; სოხუმის უნივერსიტეტის ფინანსური შედეგების ანგარიშგების მიხედვით, შემოსავლების ჯამური თანხა აჭარბებს 914 799 ლარით, ხოლო ხარჯების – 504 183 ლარით საღრიცხვო მონაცემებს; გორის უნივერსიტეტის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული შემოსავლების და ხარჯების ჯამური თანხები არ შეესაბამება საღრიცხვო მონაცემების შესაბამის მაჩვენებლებს.

„კოლეჯი „აისის“ მიერ წარდგენილი ბალანსი უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობას, რადგან ყველა განხორციელებული ოპერაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში არ აისახება. კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს/ოპერირებს გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში. ბალანსში არ არის ასახული ძირითადი აქტივებიდან 2015 წელს გადმოცემული 22 ჰა მიწის ნაკვეთი და კაჭრეთში მდებარე ხელოვნების სახლი; საღრიცხვო რეგისტრებში სრულყოფილად არ აისახება მეცხოველეობიდან, მეფუტკრეობიდან, სამკერვალო, საკონსერვო და სხვადასხვა მიმართულებიდან მიღებული პროდუქცია. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულე და შიდა კონტროლი. აუდიტის პროცესში შერჩეულ აქტივებზე ჩატარებული დათვალიერებისას/ინვენტარიზაციისას გამოვლინდა სხვაობები ფაქტობრივად არსებულსა და საღრიცხვო მონაცემებში ასახულს შორის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტორებმა ვერ მოიპოვეს რწმუნება კოლეჯ „აისის“, წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორისა და სოხუმის უნივერსიტეტების წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების არსებობაზე, წარმოშობაზე, სისრულესა და სისწორეზე.

ხარვეზები სწავლის გადასახადში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ უნივერსიტეტები სწავლის გადასახადის ოპერაციების აღრიცხვისთვის იყენებენ განსხვავებულ საღრიცხვო პოლიტიკას. არ არსებობს ერთიანი მიდგომა უცხოურ ვალუტაში დარიცხულ თანხებთან მიმართებით, თუ რომელი დღის კურსით უნდა მოხდეს მოთხოვნის, ვალდებულების და შემოსავლის დარიცხვა. მიღებული შემოსავლების აღრიცხვისათვის იყენებენ როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდს.

„უნივერსიტეტების მიერ, სწავლის გადასახადების აღრიცხვისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. კერძოდ, სოხუმის უნივერსიტეტს, ბალანსის მიხედვით მოთხოვნები, სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს 751 094 ლარი და შემოსავლები სწავლის გადასახადიდან – 6 594 191 ლარი, ხოლო ვალდებულებები არ ირიცხება. უნივერსიტეტის განმარტებით, სწავლის გადასახადების აღრიცხვისათვის იყენებს შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონულ პროგრამას. წლის განმავლობაში აღრიცხვაში ასახვის მიზნით, სასწავლო დეპარტამენტი დარიცხული გადასახადების/შემოსავლისა და სასწავლო პროცესიდან წარმოქმნილი დავალიანებების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აწვდის ბუღალტერიას. ამავე დეპარტამენტის მიერ, აუდიტის პერიოდში დარიცხული შემოსავლების შესახებ წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემოსავალი შეადგენს 6 250 209 ლარს. შესაბამისად, წარდგენილია 343 982 ლარით მეტი შემოსავალი. იმის გამო, რომ ვერ ხერხდება სტუდენტთა ბაზიდან ძველი თარიღით ზუსტი და სრული ინფორმაციის ამოღება, ვერ განხორციელდა სტუდენტების შესაბამისად დარიცხული შემოსავლის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაანგარიშება გადათვლა“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, სწავლის გადასახადი – 39 260 627 ლარი. უნივერსიტეტის განმარტებით, თანხები დაანგარიშდა ელექტრონული სტუდენტური პროგრამა VICI-ის ბაზის საფუძველზე, სადაც ასახულია სტუდენტების მონაცემები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ. სწავლის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლის დაანგარიშებისას გამოყენებულია არაერთგვაროვანი მიდგომა, შემოსავალი აღიარებულია, როგორც დარიცხვის, ასევე – საკასო მეთოდით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის გადასახადისას.

„გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, არასწორად ხდებოდა ბაზაში სტუდენტთა სტატუსების (აქტიური, შეჩერებული თუ შეწყვეტილი) და სასწავლო კრედიტების შესახებ ინფორმაციების აღრიცხვა. სტუდენტების მიხედვით, სემესტრულად დაანგარიშებული სწავლის გადასახადის ანალიზისას დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში, ბაზაში კრედიტების რაოდენობის არასწორად ასახვის გამო, სწავლის გადასახადი არასწორად იყო დაანგარიშებული. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია სწავლის გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი 373 817 ლარით.

ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსში აღრიცხულია სწავლის პროცესში სტუდენტების მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნების – 3 662 078 ლარის და ვალდებულებების – 2 581 695 ლარის 2022 წლის საბოლოო ნაშთები. აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, დავალიანებები წარმოქმნილია და მომდინარეობს გასული წლებიდან; ზუსტი სახელობითი სიები დავალიანებებზე არ არსებობს; 2022 წელს დაწყებულია სიების მოძიება, პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილება, თუმცა სამუშაოს სირთულისა და დიდი მოცულობის გამო, 2022 წელს ვერ მოხერხდა სიების დაზუსტება და დავალიანებების გადაანგარიშება“.

აღნიშნული გარემოებებისა და იმის გამო, რომ სტუდენტები ინფორმაციას ფლობენ სემესტრულად გადასახდელ თანხებზე, სასწავლო წელი კი არ ემთხვევა საანგარიშგებო წელს, აუდიტის ჯგუფმა ვერ გაგზავნა დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით დაადასტურა აღრიცხული დავალიანებები/შემოსავლები. შედეგად, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ვერ მოიპოვეს რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი შემოსავლების, ვალდებულებებისა და მოთხოვნების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, წარმოშობაზე, სისრულესა და სისწორეზე.

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური სახის რა დარღვევები გამოვლინდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში

მე-7 გვერდიდან

ხარვეზები მატერიალურ მარაგებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მატერიალური მარაგების 2022 წლის საწყისი ნაშთი დაკორექტირდა 2021 წლის ინვენტარიზაციის შედეგის შესაბამისად, ხოლო ფაქტობრივად არსებული ნაშთის მიხედვით ჩამოწერილი 1 433 497 ლარის მარაგების შესაბამისი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა. ჩამოწერილი აქტივების მხოლოდ ნაწილისათვის მოძიებული და წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის მიერ მარაგების საწყობიდან გატანის/ხარჯვის დოკუმენტაცია. აუდიტორებისვე განმარტებით, უფლებამოსილი პირის მტკიცებით, მარაგის საწყობიდან გატანის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად მოძიება და წარმოდგენა მოითხოვს დროის დიდ რესურსს, რაც მიმდინარე სამუშაოების დიდი მოცულობის გამო ვერ ხერხდება. 2022 წელს, მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

„უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მატერიალური მარაგის შერჩევითი ინვენტარიზაცია. წარმოდგენილია მხოლოდ ინვენტარიზაციის ოქმები; ვერ წარმოადგინეს საინვენტარიზაციო აღწერა/შედარებითი უწყისები. მიღებული განმარტების მიხედვით, პროგრამული ხარვეზის გამო ვერ ხერხდება ინვენტარიზაციის აქტების წარმოდგენა. ბუღალტრული რეგისტრების შესაბამისად, ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ბალანსიდან ჩამოწერილია 133 504 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი; წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის, ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ ინვენტარიზაცია ჩატარდა შერჩევითობის პრინციპით; მასში არ არის ასახული მარაგის ჩამოწერის შესახებ ინფორმაცია“.

შედეგად, დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო, სახელმწიფო აუდიტორებმა ვერ მოიპოვეთს რწმუნება 1 433 497 ლარის ხარჯის წარმოშობასა და სისწორეზე, ასევე 2 814 727 ლარის წლის ბოლოს ბალანსში აღრიცხული მარაგის არსებობასა და სისწორეზე.

ხარვეზები ძირითად აქტივებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, 2022 წელს, არასწორად, რეტროსპექტულად გაასწორა 2021 წლის ცვეთაში დაშვებული შეცდომები. შედეგად, 481 901 ლარის ოდენობით შემცირებულია აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება და გაზრდილია ცვეთის ხარჯი, ხოლო წლის ბოლოს, აქტივების ღირებულება შემცირებულია 963 801 ლარით.

„აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, რაც რიგ შემთხვევაში არ განხორციელდა. ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ, საქმიანობაში გამოიყენება ისეთი აქტივები, რომლებიც სრულად არის ამორტიზებული 2021-2022 წლებში და მათი ისტორიული ღრებულება შეადგენს 6 215 188 ლარს; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს წლის ბოლოს ერიცხებიდა 1 637 628 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე აქტივები, რომლებიც გამოიყენება და საბალანსო ღირებულება განულებულია; „ძირითადი აქტივების“ მუხლზე, წლის ბოლოს აღრიცხულია 38 062 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების აქტივები, რომლებიც არ გამოიყენება. უნივერსიტეტს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ერიცხება 3 079 883 ლარის საბიბლიოთეკო ფონდის აქტივები, რასთან დაკავშირებითაც, დასახელებისა და რაოდენობების მიხედვითმ ფლობენ გარკვეულ კატალოგებს, თუმცა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ღირებულებების მითითებით რეესტრი არ არსებობს. წიგნების ფონდი მოიცავს, როგორც თანამედროვე, ასევე ძველ გამოცემებს. ახალი გამოცემები გამოიყენება სასწავლო და კვლევითი დანიშნულებით, ხოლო ძველი გამოცემები დაცულია საცავებში და შესაძლებელია სარგებლობის უფლება სხვადასხვა პირობით. თანხობრივად დაცული და თანამედროვე გამოცემის წიგნების გამიჯვნა შეუძლებელია.

„წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საბიბლიოთეკო ფონდებში აღრიცხული 3 254 853 ლარის ღირებულების აქტივების რეესტრი. უფლებამოსილი პირის განმარტებით, აღნიშნული ფონდები აღრიცხულია მხოლოდ ჟურნალებში ფიზიკური სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხდა რარიტეტული გამოცემების იდენტიფიცირება და შესაბამისად, ვერ დადგინდა აქტივების – ფასეულობების მუხლით კლასიფიცირებული ოდენობა“.

ხარვეზები არამატერიალურ აქტივებში

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. ერთეულმა უნდა შეაფასოს, განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ უნდა იქნეს ამორტიზებული, თუმცა ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ შეფასებული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება და მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას.

გარდა ამისა, სავალდებულოა, ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება და განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ყველა პერიოდში უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს, კვლავაც ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ არამატერიალურ აქტივს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს.

„სააგენტოს, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღრიცხული აქვს 2010-2017 წლებში შესყიდული 881 628 ლარის არამატერიალური აქტივები, რომლებიც არის საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების დოკუმენტაცია. ორგანიზაციას მოცემული აქტივებისთვის არ დაურიცხავს ამორტიზაცია. სააგენტოს არ შეუფასებია, მოცემული აქტივები აკმაყოფილებენ თუ არა არამატერიალურ აქტივებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ორგანიზაციის განმარტებით, აღრიცხული პროექტების ფარგლებში დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები და 2023 წელს მიმდინარეობს ნაშთების გადაცემა.

ტექნიკური უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს არ გამოიყენებოდა და გაუფასურებული იყო არამატერიალური აქტივების ნაწილი. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 175 979 ლარის ისტორიული ღირებულების გაუფასურებული აქტივები, წლის ბოლოს – 17 081 ლარის საბალანსო ღირებულებით“.

შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა ვერ მოიპოვეს რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 898 709 ლარის არამატერიალური აქტივების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, უფლებებსა და ვალდებულებებზე, სისწორესა და კლასიფიკაციაზე.

ხარვეზები შემოსავლებსა და ხარჯებში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 2019 წელს, გააფორმა 602 097 ევროს გრანტის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თანხის ხარჯვა უნდა განხორციელებულიყო მიზნობრივად – პირველი ტრანშის მიღების შემდეგ, რომელიც შეადგენს 974 073 ლარს, მეორე ტრანში ჩაირიცხებოდა პირველად მიღებული თანხის მინიმუმ 70%-ის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისა და მათი მხრიდან აღნიშნულის დადასტურების შემდეგ.

„მეორე ტრანში ჩაირიცხა 2021 წლის 10 დეკემბერს 751 032 ლარის ოდენობით. შესაბამისად, უნივერსიტეტს უნდა ეღიარებინა 2021 წლის შემოსავალში პირველი ტრანშის მინიმუმ 70% – 681 851 ლარი. 2022 წელს ახალი ტრანშის ჩარიცხვა არ მომხდარა. უნივერსიტეტმა 2022 წელს არასწორად აღიარა 760 133 ლარი შემოსავალში. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია შემოსავლები გრანტებით – 760 133 ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანების ნაშთები შემცირებულია: საწყისი ნაშთი – 292 222 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 1 026 691 ლარის ოდენობით“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ გამომცემლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სააგენტოს არ აქვს ხარჯი აღიარებული, რის შედეგადაც გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 3 471 203 ლარით; არ აქვს აღრიცხული მომწოდებელი კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაო, რის გამოც გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი – 48 164 ლარით.

„აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ხარჯი, სულ – 3 519 367 ლარით“.

სამართალი

№17 19 ივნისი 2024 წ

როგორ მფარველობდა ბერიას მოადგილე კრიმინალებს

კრიმინალური ამბავი, რომელმაც საბჭოთა ძალოვანებს ძილი დაუფრთხო

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, ზებრა-გადასასვლელზე, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი მამა-შვილს დაეჯახა. ორივე უმძიმეს მდგომარეობაში, საავადმყოფოშია გადაყვანილი. ბავშვი, იაშვილის კლინიკაში, ქალა-ტვინის ტრავმითა და ძვლების მოტეხილობით, სიკვდილს ებრძვის. მძღოლი თრობის ქვეშ იყო...

სამხრეთ აფრიკაში არის კანონი, რომლის მიხედვითაც, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა ისჯება მართვის მოწმობის სამუდამო ჩამორთმევით, 10 ათასდოლარიანი ჯარიმითა და თავისუფლების შვიდწლიანი აღკვეთით. შედეგად, ბოლო ოც წელიწადში, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა ანუ ათ წელიწადში - ერთი. ეგებ, დროა, ანალოგიური კანონი საქართველოშიც შემოვიღოთ და ეგებ, მერე მაინც გვეშველოს და ჩვენი მშობლები თუ შვილები, ვიღაცის სიმთვრალის გამო, ასფალტიდან არ ვფხიკოთ...

რაც შეეხება კრიმინალურ ისტორიას... რასაც ახლა გიამბობთ, შორეულ, 50-იანი წლების დასაწყისში მოხდა, მაშინ, როცა საბჭოთა პროლეტარიატი იოსებ სტალინს გამოემშვიდობა და ძალთა გადანაწილებას ლავრენტი ბერია თავის მომხრეებთან ერთად გადაჰყვა. არადა, ერთი შეხედვით, ყველაფერი ბანალური, კრიმინალური ისტორიით დაიწყო.

1952 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრმა სერგეი კრუგლოვმა სპეციალური განცხადება გააკეთა და გამოაცხადა, რომ მილიციამ დამნაშავეთა სამყარო სრულად დაამარცხა და საბჭოთა მოქალაქეებს შეეძლოთ, ბინის კარი ღია დაეტოვებინათ. ჰო, კრუგლოვი ამტკიცებდა, ყველა დამნაშავე ციხეშია, წვრილ-წვრილი კრიმინალები კი სერიოზულ საფრთხეს ვერ შექმნიანო. ჰოდა, განცხადებიდან მეორე დღეს, მოსკოვში, ცნობილი მევიოლინეების - ცუპაევების ბინა დააყაჩაღეს. თავდამსხმელებმა ოჯახის უფროსი, მეუღლე და მისი ქალიშვილი სადისტურად, დანით მოკლეს და როგორც ამბობდნენ, ბინიდან წაიღეს ბრილიანტისა და ლალის თვლების მთელი კოლექცია, რომელსაც ცუპაევები ფლობდნენ. თავდამსხმელებმა ხელს გააყოლეს შინშილას ქურქი, რომელიც ძალიან, ძალიან ძვირი ღირდა. საქმე გამოცდილ გამომძიებელს, მაიორ ელცოვს მიანდეს და მანაც, პირველ რიგში, საკომისიო მაღაზიების მფლობელებსა და იუველირებს ჩამოუარა, კატეგორიულად გააფრთხილა, თუ ვინმე ან თვლებს, ან ქურქს მოიტანს, იცოდეთ, რომ მათზე სამი ადამიანის სისხლია და არ დაგინდობთო.

მომხდარიდან ზუსტად ორ დღეში, ელცოვთან ერთ-ერთი საკომისიოს მფლობელი მივიდა და წინ ქურქი დაუდო, ახალგაზრდა ქალმა მომიტანა, დავპირდი, რომ ვიყიდდი, მაგრამ ფული ხვალ, 12 საათზე უნდა მივცეო. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ჩასაფრება მოაწყვეს და ადგილზე გამოცდილი კრიმინალი, ბორის ჩუმეიკინი, მეტსახელად, „ჩუმა“ დააკავეს. „ჩუმა“ დაკითხვის დროს ამაყად დუმდა, ვერც ის გაიხსენა, ვინ ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო მისული საკომისიოს დირექტორთან და ამტკიცებდა, მე ვიყავი, ალბათ, ამას მოეჩვენაო.

ყველაფერი ძალიან საინტერესოდ გაგრძელდა. ელცოვმა მოახერხა და გაშიფრა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ქალი და დააკავა კიდეც. „ჩუმამ“ ფარ-ხმაალი დაყარა და განაცხადა, რომ მზად იყო ჩვენების მისაცემად, მთელი სქემის გასაშიფრად, თუმცა საუბარს წერა ერჩივნა და ფანქარი და ფურცელი მოითხოვა. რა თქმა უნდა, მას ფანქარი და ფურცელი მიუტანეს და კამერაში ჩაკეტეს. მეორე დღეს, „ჩუმა“ ჩამომხრჩვალი იპოვეს, ფურცლები და ფანქარი კი არსად იყო. ელცოვი ხელებს უიმედოდ შლიდა, მაგრამ ძიება მაინც გაგრძელდა. მაიორმა ამჯერად ქალი დაჰკითხა და თან გააფრთხილა, თუ მალე სიმართლეს არ იტყვი, შენი საყვარლის ბედს გაიზიარებო. ქალმა ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ის კი გაიხსენა, რომ დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე, „ჩუმა“ ტელეფონით ვიღაც იუველირს ესაუბრებოდა და გვარი მახოვი ახსენა.

ალბერტ მახოვს მოსკოვში ყველა კარგად იცნობდა. ის იყო ძალიან, ძალიან ძლიერი იუველირი და როგორც ამბობდნენ, მხოლოდ იმიტომ არ აკავებდნენ და „უტარებდნენ“ ნაქურდალი ნივთების შეძენა-გაყიდვას, რომ ლავრენტი ბერიას პირად იუველირად იწოდებოდა და მისთვის თუ მისი მეგობრებისთვის არაერთ საოცარ ნაკეთობას საჩუქრად იმეტებდა. გამომძიებელი მასთან ორ ოპერმუშაკთან ერთად მივიდა და თან ჩხრეკის ორდერიც მიიტანა. იუველირი სტუმრებს მშვიდად შეხვდა და მხოლოდ ის ითხოვა, ადვოკატს დავურეკავო, რაზეც თანხმობა მისცეს. დარეკვიდან 15 წუთში, ბინაში კი არ შემოვიდა, შემოვარდა უშიშროების პოლკოვნიკი ნაგიევი, რომელიც ბერიას მოადგილის, სერგო გოგლიძის დაცვის უფროსი იყო. ნაგიევმა გამომძიებელს და მის ოპერებს უშვერი სიტყვებით აგინა, რის შემდეგაც ნაგიევი... დააპატიმრეს და განყოფილებაში გადაიყვანეს. ნახევარ საათში, განყოფილების კარი გენერალმა გოგლიძემ შეაღო. ბერიას პირველი მოადგილე და მარჯვენა ხელი ყველას შიშის ზარს სცემდა და მან ელცოვი მარტო დაიტოვა კაბინეტში, მომხდარი წვრილად მოაყოლა, შემდეგ კი შეაქო, სხვას შეეშინდებოდა, შენ კი, კანონი დაიცავი, მაგრამ ნაგიევი მაინც უნდა მაჩუქოო. ელცოვმა იცოდა, რომ თუ „საჩუქარზე“ უარს იტყოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა, ამიტომ დაკავებული გაათავისუფლა და ისევ მახოვის იმედად დარჩა, მაგრამ მერე დღეს, ცნობილი იუველირი გარდაცვლილი იპოვეს. იგი საკუთარ სახლთან, სავარაუდოდ, „ძარცვის მიზნით“ მოკლეს.

„წესითა და რიგით, „ჩუმა“ ამ დრომდე ციხეში უნდა ყოფილიყო, ის რეციდივისტია, მაგრამ გოგლიძის პირადი ბრძანებით გაათავისუფლეს, ზუსტად ისე, როგორც სხვა არაერთი რეციდივისტი და ეს ადამიანები ქალაქში თავისუფლად დასეირნობენ. აქ რაღაც ხდება, მაგრამ არ ვიცი რა, თუმცა გათავისუფლებულ რეციდივისტებს, ორი-სამი თვის შემდეგ, გარდაცვლილებს ნახულობენ. მილიციას უხარია ასეთი ხორცმეტებისგან გათავისუფლება, მაგრამ ყველა საქმე გაუხსნელია და ამბობენ, რომ ეს კრიმინალური სამყაროს შიდა გარჩევებია, რისიც არ მჯერა“, - ელცოვმა პატაკი პირადად მინისტრს ჩააბარა, მაგრამ მან ხელი აიქნია, გოგლიძესა და შესაბამისად, ბერიასთან, ჭიდაობას არ ვაპირებო.

მომხდარიდან ერთ კვირაში, გამომძიებლის კაბინეტი ერთ-ერთმა რეციდივისტმა შეაღო და ძალოვანს უთხრა, ყველა სქემას გაგიშიფრავ, ოღონდ სიცოცხლე უნდა შემინარჩუნოო. ელცოვი მოსულს ყურადღებით უსმენდა.

„გოგლიძეს ციხიდან რეციდივისტები გამოჰყავს, მათ მდიდარი მოქალაქეების ბინების „ნაკოლს“ აძლევს და მოწმეები რომ არ დარჩნენ, ყველას მოკვლის ბრძანებაა გაცემული. ამ პროცესს მისი დაცვის უფროსი, ნაგიევი ხელმძღვანელობს, მერე კი, როცა სამ-ოთხ ასეთ ბინას აითვისებს კონკრეტული ბანდა, მათაც კლავენ და განმკითხავი არავინაა. სულ სამი კაცია მკვლელი, მათ მეტი არაფერი ავალიათ და მათ პირადად ნაგიევი აკონტროლებს. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და გთხოვთ, გემუდარებით, გადამარჩინეთ, მგონია, რომ მომკლავენ“, - ცრემლად იღვრებოდა მოსული.

ელცოვმა მისამართზე ოპერჯგუფი გაგზავნა და ორი დამნაშავე დააკავებინა. ისინი ცალ-ცალკე კამერებში შეყარეს, ბადრაგი მკაცრად გააფრთხილეს, რომ კონტროლი მაქსიმალური ყოფილიყო და მეორე დილას, ელცოვს მოახსენეს, სამივე პატიმარი მკვდარიაო. როგორც ბადრაგის უფროსი იმართლებდა თავს, თურმე „საკვები ყოფილა მოწამლული“ და დაკავებულებიც ამიტომ მოკვდნენ. მიხვდა გამომძიებელი, რომ გოგლიძემ ყველა ძაფი განყვიტა და გამორიცხული იყო, ვინმეს რამე დაემტკიცებინა, თუმცა ის, რაც ვერ მოახერხა რიგითმა გამომძიებელმა, უმაღლესმა პირებმა გააკეთეს. ძალიან მალე გარდაიცვალა იოსებ სტალინი, რასაც ჯერ ბერიას, შემდეგ კი მისი გარემოცვის დაპატიმრება-დახვრეტა მოჰყვა. მათ შორის იყო სერგო გოგლიძეც (სხვათა შორის, გოგლიძე დღემდე არ არის რეაბილიტირებული), ნაგიევიც და სხვებიც.

გოგლიძის ბინის ჩხრეკის შემდეგ, სახლიდან გაიტანეს რამდენიმე კილოგრამი ძვირფასი თვალი და მათი ღირებულება იმ დროისთვისაც კი, რამდენიმე მილიონს აჭარბებდა. ამბობენ, გოგლიძის ცოლმა მოახერხა და ერთი ჩემოდანი ძვირფასეულობა გადამალა, შემდეგ კი, მოსკოვის გარეუბანში პატარა ქოხი იყიდა, იქ დასახლდა და ცდილობდა, ყველასთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო და ერთადერთი ქალიშვილი მშვიდად გაეზარდაო.

სავარაუდოდ, ეს ისტორია ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გოგლიძის ცოლის მიერ გადამალულ ჩემოდანზე ბევრს საუბრობდნენ, ბევრი ლეგენდა დადიოდა, სახლიც არაერთხელ გაუქურდეს, დააყაჩაღეს კიდეც, მაგრამ წამების მიუხედავად, გოგლიძის ქვრივი ამბობდა, რომ ყველაფერი ტყუილი იყო, რომ რეალურად, ძვირფასეულობა არ გააჩნდა და მათი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ეს რეალობასთან ახლოს უნდა ყოფილიყო, თუმცა...

როგორც ამბობენ, 1984 წელს, გოგლიძის ქვრივმა, ძალიან ახლობელ იუველირთან ბრილიანტის მოზრდილი თვალი მიიტანა და მის სანაცვლოდ, 13 ათასი მანეთიც მიიღო. მესამე დღეს, გოგლიძის ქვრივი და მისი ქალიშვილი ნაწამები და მოკლულები იპოვეს. სამართალდამცავებმა ივარგეს, მკვლელები მეორე დღესვე დააკავეს, თუმცა ლეგენდად ქცეულ ჩემოდანს ვერავინ მიაგნო.

ისე, იმ სახლის შემოგარენში, კარგა ხანს მუშაობდა ტრაქტორი და მიწასაც თხრიდა, ეგებ, ქალს სწორედ იქ, ახლო-მახლო ჰქონოდა დამალული განძი, მაგრამ შედეგი ვერც ამ მცდელობამ გამოიღო.

ვინ არის ტელეფონების ხელოსანი, რომელმაც არასრულწლოვანები კრიმინალში ჩართო და მობილურებს აპარინებდა

როგორ გავიდნენ ძალოვანები ორი დის საყვარელ მამაკაცზე

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ბევრს ჰქონია შეგრძნება, რომ მშობლებს მასზე მეტად მისი და ან ძმა უყვარს. ძირითადად, ეს ასაკის ბრალია და შეგრძნებები ასაკის მატებასთან ერთად ქრება, ხვდები, რომ მშობლები შვილებს არ ანსხვავებენ, მაგრამ იშვიათად ისეა, რომ რომელიმე მშობელი (ან ორივე ერთად) რომელიმე ბავშვს ამოიჩემებს, დანარჩენს ყურადღებას არ აქცევს. ამით შვილები უმაყოფილოები არიან ხოლმე, მაგრამ მშობლების ხათრითა თუ სიყვარულით, წყენას გულში იკლავენ და ცდილობენ, საუკეთესო შვილები იყვნენ...

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი დაქალი გათხოვებას აპირებდა, მას კი საქმრო არ მოსწონდა. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები ამ ამბავმა ძალიან გაამხიარულა, მაგრამ გოგონამ მტკიცება დაიწყო, ის პიროვნება, ჩემი აზრით, კრიმინალია, რადგან ტელეფონების გამკეთებლად მუშაობს, მაგრამ უზარმაზარი ფული აქვს, ლამის, 100-ათასიანი მანქანა, ბრენდული სამოსი და ფულს ისე ისვრის, არც ითვლისო. მისი მტკიცებით, მამაკაცს სხვა ბიზნესი არ ჰქონდა და შეუძლებელი იყო, ტელეფონების შეკეთებით ამხელა ფული ეშოვა, თანაც გამწარებული ქალი იმასაც ამბობდა, დარწმუნებული ვარ, საყვარელიც ჰყავს და ჩემს დაქალს, რომელიც უწესიერესი და უპატიოსნესია, საშინლად ატყუებსო. მამაკაცის კეთილსინდისიერება ძალოვნებს ნაკლებად აინტერესებდათ, მაგრამ ფულის შოვნის წყარომ ყურადღება მიიპყრო და მართალია, გოგოს განცხადება არ დააწერინეს, მაგრამ პირობა დადეს, მოქალაქეს გადაამოწმებდნენ და იმასაც გაიგებდნენ, საიდან ჰქონდა ამდენი შემოსავალი.

მართლაც, ორმა ოპერმუშაკმა არ დაიზარა და მოიკითხა, თუ როგორი ხელოსანი იყო მამაკაცი, ჰქონდა თუ არა სხვა ბიზნესი და, პრაქტიკულად, ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო – მას ჰქონდა ტელეფონის აბსოლუტურად ყველა ნაწილი, ყველა ნაწილში იღებდა ნახევარ ფასს ანუ ძალიან იაფად ჰქონდა, ცუდი ხელოსანი არ იყო, მაგრამ უფრო მეტ ფულს სწორედ ნაწილების გაყიდვით შოულობდა და არა – ტელეფონების გაკეთებით. საიდან შემოჰქონდა ასე იაფად თუნდაც მეორადი ნაწილები, წარმოდგენა არავის ჰქონდა. ამბავმა საინტერესო გაგრძელება ჰპოვა და ოპერმუშაკები კდიევ უფრო დაინტერესდნენ. ცოტა ხანში, გადაწყდა, მამაკაცზე თვალთვალი დაეწესებინათ, რათა გაეგოთ, საიდან შემოჰქონდა ნაწილები, მაგრამ... ვერაფერი გაიგეს. კაცი ან სამსახურში იყო, ან საცოლეს ხვდებოდა (იმას, რომლის დაქალიც პოლიციაში იყო მისული), ან არცთუ იაფფასიან სასტუმროში ახალგაზრდა ქალები აჰყავდა და ერთობოდა. ის, რომ კაცი საცოლეს ღალატობდა, ცხადი იყო, მაგრამ სამართალდამცავებს ის აინტერესებდათ, საიდან ივსებდა ტელეფონის ნაწილების მარაგს?

„რომ ვთქვათ, სამსახურში მიდის ვინმე და ნაწილები მიაქვს, ტყუილი იქნება. მასთან იშვიათად დადიან კლიენტები, ძირითადად, კოლეგები აკითხავენ და ნაწილებს ყიდულობენ, მაგრამ საიდან მოაქვს ეს ნაწილები, ვერ ვხვდებით. ის არც უცხოეთიდან იწერს, არც იპარავს, არც არავის ხვდება, რომ იყიდოს, არც სახლიდან გამოაქვს ჩანთით. რაღაც არის მოსაფიქრებელი, რომ 24-საათიან კონტროლზე გვყავდეს, მაგრამ რა“, – მსჯელობდნენ სამართალდამცავები. გაჩნდა იდეა, რომ ერთ-ერთი ახალგაზრდა ოპერმუშაკი მასთან მისულიყო და ტელეფონების გაკეთების სწავლება ეთხოვა, დიდი ფული შეეთავაზებინა, მაგრამ ობიექტმა ხელი აიქნია, სად მცალია სწავლებისთვის, მაგის ნერვები არ მაქვს, აგერ, გვერდით ჯიხურებში მიდი, იქ უკეთესად გასწავლიანო. სხვა გზა არ იყო, პოლიციამ ობიექტის მეპატრონეს მიმართა, ჯერ ხელწერილი ჩამოართვა, შემდეგ კი, მის სამუშაო ოთახში ვიდეო-თვალი დაამონტაჟა, ოღონდ ისე, რომ თვალთვალის ობიექტს ვერაფერი შეემჩნია.

ვიდეოთვალთვალმა შედეგი მეორე დღესვე მოიტანა. მამაკაცთან ახალგაზრდა, არასრულწლოვანი გოგონა შევიდა და მცირე ზურგჩანთა გადასცა. მასპინძელმა ჩანთა მაგიდაზე ამოაპირქვავა, ათამდე ტელეფონს ხელი და თვალი შეავლო, მერე გარკვეული თანხა გადათვალა, გოგონას მისცა და ცარიელი ჩანთა დაუბრუნა. გოგოს წასვლის შემდეგ კი, ტელეფონების დაშლა და ნაწილების დახარისხება დაიწყო. სამი დღის განმავლობაში, მას ათამდე ასეთი ჩანთა მიუტანეს და ყველა „კურიერი“ არასრულწლოვანი იყო. ძალოვნებმა გადაწყვიტეს, ერთ-ერთი „კურიერი“ დაეკავებინათ, მაგრამ შედმეგ ეს აზრი უარყვეს და ორ მათგანზე თვალთვალი დააწესეს, აინტერესებდათ, საიდან მოჰქონდათ ტელეფონები. ბევრი წვალება არ დასჭირვებიათ, მალევე მიხვდნენ, რომ ბავშვები ტელეფონებს მეტროს ვაგონებში იპარავნდნენ და სულ ერთი იყო, რა მოხვდებოდათ ხელში, ყველაფერს ზურგჩანთაში უძახებდნენ, თუმცა მანამდე, სიმ-ბარათს იღებდნენ, აუცილებლად აგდებდნენ და ტელეფონებს თიშავდნენ. სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ ბავშვებს ასაკის გამო უბრალოდ ვერ გაასამართლებდნენ და ერთადერთი, რაც შეეძლოთ, მათთვის ხელწერილები ჩამოერთვათ, მშობლებისთვის შეეტყობინებინათ, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემდნენ. ამასთან, აუცილებელი იყო, რომელიმე მათგანს მამაკაცის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა და ეთქვა, რომ მოპარულს სწორედ მასთან ასაღებდნენ. პრინციპში, ამას ჩანაწერებიც ანახებდა, მაგრამ კაცს შეეძლო ხელები დაებანა, აქაოდა, არ ვიცოდი, მოპარული თუ იყო, ბავშვების მონაცემები კი ჩაწერილი მქონდაო. მოკლედ, ჩვენების მიცემა აუცილებელი პირობა გახლდათ.

გამომძიებელმა ისიც იფიქრა, რომ თუ მამაკაცს ურთიერთობა საყვარელ ქალთან აერეოდა (ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ქალი საყვარელი არ იყო, საცოლე ხომ გახლდათ), შეცდომების დაშვებას მოუმატებდა და ეგებ, მისი პასუხისგებაში მიცემა უფრო გაიოლებულიყო. ამიტომაც, მის ერთ-ერთ საყვარელს, იმას, რომელსაც ხშირად ხვდებოდა, ფოტო გადაუღეს და დაქალს აჩვენეს. გოგონამ სურათს რომ დახედა, ჯერ შეჰკივლა, მერე კი... გინება დაიწყო. ბოლოს, როცა უშვერი ლანძღვით გული იჯერა, თქვა, რომ სურათზე აღბეჭდილი გოგონა, მისი დაქალის... და იყო. ჰო, ალალი და.

„ჩემი დაქალი დაზე უმცროსია. როცა ოჯახში პირველი შვილი გაჩნდა, მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ ძვლის ტვინი მისი დედმამიშვილისგან აეღოთ. ამის შემდეგ გაჩნდა ჩემი დაქალი და მან გადაარჩინა თავისი და. რომ გაიზარდნენ, მშობლებმა ეს ისტორია გაუმხილეს და უფროსი და მუდმივად იმეორებდა, რომ უმცროსი მხოლოდ მის გადასარჩენად გააჩინეს, თორემ გეგმაში არ იყო და ჩაგრავდა. როგორც ჩანს, ამჯერად, საქმროს წართმევა დაუპირა და ეს ამაზრზენია. გემუდარებით, ამ ფოტოს ჩემს დაქალს ვაჩვენებ“, – თქვა ქალმა და სამართალდამცავებისგან თანხმობა მიიღო.

რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილზე თვალთვალი ხორციელდებოდა. პარალელურად, გამომძიებლებმა მოახერხეს და ორი არასრულწლოვანი დაითანხმეს იმაზე, რომ მათ კამერა და მიკროფონები დაემაგრებინათ, შეხვედრის და ნაქურდალის გადაცემის დროს კი, ეთქვათ, რომ მეტი ფული უნდოდათ, რადგან ქურდობა სულ უფრო ძნელდებოდა. ეს უკვე პირდაპირი სამხილი იქნებოდა, მაგრამ გეგმა ჩავარდა – როგორც კი ბავშვებმა თქვეს, რომ მეტი ფული უნდოდათ, რადგან ქურდობა გაძნელდა, მამაკაცმა ტელეფონები უკან მიუყარა, რა ქურდობა, არ მეგონა, თუ მოპარულებს მაბარებდით, ახლავე პოლიციაში დავრეკავო ანუ ის ამისთვისაც მზად იყო და ნებისმიერ საეჭვო მოქმედებას ყურადღებით უყურებდა. ამასობაში, ქალმა მეგობარს ფოტოები მიუტანა და ანახა, როგორ ღალატობდა საკუთარი და საქმროსთან (ან პირიქით) და ამბავიც ატყდა. გამწარებული ქალი ჯერ საქმროს ეცა, მერე – დას, თუმცა დამ ხელი აიქნია, უბრალოდ, გავერთე იმ კაცით, რომელიც მერე შენ მთელი ცხოვრება უნდა გყავდეს, შენ ყოველთვის ჩემს გამონაცვალს და ჩემს ნარჩენებს ითავსებ და არა უშავს, ქმარიც თუ ჩემი გამონაცვალი გეყოლებაო.

დის განცხადებამ კაცი ძალიან გააბრაზა და ქალს ხელი გაარტყა... ეს იყო მისი ყველაზე დიდი შეცდომა, რადგან საქმეში მაშინვე შორიდან მომზირალი ოპერმუშაკები ჩაერთვნენ, ხოლო როგორც კი ნაცემი ქალი მიხვდა, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, ბოლო ხმაზე იყვირა, მზად ვარ, ამ კაცის წინააღმდეგ ჩვენება მივცე, მოპარულ ტელეფონებს ყიდულობს, ნაწილებად შლის და ყიდისო.

„ამ იდიოტს სულ ეგონა, რომ მიყვარდა, მე კი, მხოლოდ ის მსურდა, რომ ჩემს დას ტკენოდა. რატომ? იმიტომ, რომ არ მიყვარს და ვერ ვიტან. ეს არ არის დანაშაული. ყველაფერს მიყვებოდა, პირობა მივეცი, ჩემს დას რომ შეირთავ, მერეც შენი საყვარელი ვიქნები-მეთქი და ამ შტერს ეგონა, ცხოვრება ააწყო. არადა, ჩვენი ურთიერთობა ქორწილის დღეს უნდა გამემხილა დისთვის, თუმცა ადრე მომიხდა ამის გაკეთება. მისი ყველაფერი ვიცი, ვიცი, როგორ აიძულებდა პატარა ბავშვებს ქურდობას, როგორ ყიდულობდა 1000-ლარიან ტელეფონებს 20 და 30 ლარად, როგორ ჰყიდდა ნაწილებს ნახევარ ფასად და მართლა დიდ ფულს შოულობდა. ამას თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში, ყველაზე სულელია, ვინც კი მინახავს“, – განაცხადა ქალმა და...

სასამართლომ არასრულწლოვნების კრიმინალურ დაჯგუფებაში ჩართვისთვის და ნაქურდალის შესყიდვა-გასაღებისთვის, მამაკაცს 9 წელი მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

შიზოფრენია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური დაავადებაა. ის ქრონიკული ხასიათისაა, მიმდინარეობს ფსიქოზური რეგისტრის სინდრომების დომინანტით და უმეტეს შემთხვევაში იწვევს პიროვნების დეფექტს. შიზოფრენია ერთნაირი სიხშირით გვხვდება მსოფლიოს ყველ კუთხეში, ცივილიზაციის დონისა და კულტურის განურჩევლად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, შიზოფრენიით, საშუალოდ, 1-დან 1.5%-მდე ადამიანია დაავადებული. მაგალითად, აშშ-ის ჯანდაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, ყოველწლიურად, ქვეყანაში ამ დაავადების 100-დან 150 ათასამდე ახალი შემთხვევა რეგისტრირდება. არ არის ნაჩვენები განსხვავება დაავადების სიხშირეში ქალებსა და მამაკაცებს შორის, მეტიც, შიზოფრენიის წარმოშობა დღემდე დაუდგენელია, თუმცა ენდოგენური ბუნების დაავადებებს მიაკუთვნებენ. მიჩნეულია, რომ მის განვითარებაში წამყვანი როლი მემკვიდრეობას მიუძღვის. ასევე, მნიშვნელობა აქვს, ფსიქო-ფიზიკურ კონსტიტუციასაც...

შიზოფრენიით დავადებული ცნობილი ბიზნესმენის ოჯახური დრამა

მშობიარობა ციხეში და დედისგან უარყოფილი ჩვილი

პოლიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ მის მოკვლას აპირებენ, რომ მას უთვალთვალებენ, რომ მუდმივად დასდევენ და აღარ იცის, რა მოიმოქმედოს. მისი ტონი აშკარად დამაჯერებელი იყო, პარალელურად, გაირკვა, რომ მამაკაცს არცთუ მცირე ბიზნესი ჰქონდა, უფრო ზუსტად კი, საკმარისზე მსხვილი ბიზნესი და გაჩნდა ეჭვი, რომ მის მოკვლას, შესაძლოა, ამ ბიზნესის გამო აპირებდნენ, თუმცა მომჩივანი ადასტურებდა, რამე წილის მოთხოვნის ან ფულის გამოძალვის წინადადებით ჩემთან არავინ მოსულაო. ძალოვნებმა საქმე აღძრეს და მასზე თვალთვალი, თან პიროვნების შესწავლა დაიწყეს. მალევე გაირკვა, რომ კაცს ბიზნესი ბიძისგან ერგო, მემკვიდრეობით მიიღო და თან საკმაოდ უცნაურ გარემოებაში – ბიძამ გაიგო, რომ ცოლი ღალატობდა და ცხელ გულზე, მთელი ქონება ანდერძით ძმისშვილს დაუტოვა. მომხდარიდან ორ დღეში, კაცი გულის შეტევით გარდაიცვალა და ძმისშვილი ერთ დღეში მილიონერი გახდა. თითქოს, ბიზნესს ურიგოდ არ უძღვებოდა, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ დაეწყო შიშები. რამდენიმედღიანმა თვალთვალმა შედეგი ვერ გამოიღო და სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, ყოველი შემთხვევისთვის, ობიექტის მეუღლე გამოეკითხათ, ფრთხილად, მშვიდად... თუმცა, ქალი მოსალოდნელზე მიხვედრილი აღმოჩნდა.

„ჩემი მეუღლე შიზოფრენიით არის ავად. მას ის იშვიათი ფორმა აქვს, რომელიც თავს მხოლოდ მაშინ გახსენებს, როცა რამე ფსიქოლოგიურ სტრესს იღებ. მან კი ეს სტრესი მაშინ მიიღო, როცა ბიძისგან მემკვიდრეობა ერგო, დაეწყო შიშები, რომ მოკლავდნენ, ეგონა, რომ უთვალთვალებდნენ. სინამდვილეში კი, არაფერი ხდება. უბრალოდ, მას ასეთ თანხებთან შეხება არასდროს ჰქონია და დაიბნა. სხვა მიზეზს მე ვერ ვხედავ“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ მამაკაცი მართლაც იყო აღრიცხვაზე ფსიქიატრიულში და ნამდვილად შიზოფრენიით გახლდათ დაავადებული. ამიტომ, მასზე თვალთვალი მოხსნეს და მამაკაცს აუხსნეს, რომ სიკვდილით არავინ ემუქრებოდა, რაზეც ის ძალიან გაბრაზდა და თქვა, რომ ძალოვან უწყებაში არაპროფესიონალები მუშაობდნენ. თითქოს, ეს ისტორია ასევე უნდა დასრულებულიყო, მამაკაცი დროთა განმავლობაში უნდა მომხვდარიყო, რომ სიკვდილით არავინ ემუქრებოდა, მაგრამ ორი თვის შემდეგ, ყველაფერი თავდაყირა დადგა – განყოფილებაში ამჯერად მამაკაცის ცოლი მივიდა და განაცხადა, რომ მის მოკვლას აპირებდნენ. გაოცებულმა სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და პირველი, რაც თავში აზრად მოუვიდათ, ფსიქიატრიულში ქალის მონაცემების გადამოწმება იყო, თუმცა...

„არ იფიქროთ, რომ მეც შიზოფრენია მჭირს. ჩემი ქმარი, დაახლოებით, ერთი თვის წინ გარდაიცვალა, ორმოციც კი არ არის გასული. ის ავარიით დაიღუპა და ეს არ იყო მოწყობილი, ან განზრახული. ის ავტომობილში იჯდა, როცა საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანა შეასკდა. იმ მანქანას მთვრალი მამაკაცი მართავდა, ისიც გარდაიცვალა. ახლა კი, შეგრძნება მაქვს,რომ ჩემს მოკვლას ცდილობენ და გეტყვით, რატომ. მე ძალიან რთულ ფორმებში მაქვს ალერგია და ეს განსაკუთრებით კატის ბეწვზე ვლინდება. მეტიც, საკმარისია კატის ბეწვი სხეულზე შემეხოს, არა მარტო გამონაყარი მაქვს მთელ ტანზე, არამედ, სპაზმი მეწყება, სუნთქვა მიჭირს და შეიძლება გავიგუდო. ჰოდა, ბოლო ორი დღეა, სახლში ეს მემართება, ყველაფერი გადავატრიალე, მაგრამ ვერაფერს მივაგენი. არადა, ეს მემართება საძინებელში და რაც მთავარია, შეგრძნება მაქვს, რომ როცა სახლში არ ვარ და მერე ვბრუნდები, თითქოს ვიღაც იყო, თითქოს რაღაც ისე არ არის. გთხოვთ, მიშველეთ, მე სახლში ვერ ვრჩები, რადგან შიში მაქვს, ან მომკლავენ, ან ალერგია მომიღებს ბოლოს“, – განაცხადა ქალმა.

პირველ რიგში, სამართალდამცავებმა ექსპერტი წაიყვანეს და საკეტი შეამოწმეს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ კარი არ იყო სხვა გასაღებით გაღებული ანუ სახლში უცხო პირის შეღწევა ამ გზით გამორიცხული იყო, მაგრამ...

„როცა ქმრის ნივთები გადმომცეს, არსად იყო გასაღებების აცმა, მისი სამუშაო კაბინეტის გასაღები, სახლის გასაღები, ავტოფარეხის გასაღები გაქრა. ფარეხში გასაღები შევცვალე, კაბინეტშიც, რადგან მეორე არ მქონდა, სახლის გასაღები კი არ შემიცვლია, რადგან მე ჩემი მქონდა და იმით ვაღებდი“, – განაცხადა ქალმა.

გამოდიოდა, რომ ვიღაცამ ის გასაღებები იპოვა და გამოიყენა, მაგრამ ვინ? ეჭვი იმ ბიძის ოჯახზე მიიტანეს, რომელმაც ქონება ძმისშვილს დაუტოვა. გარდაცვლილ მამაკაცს შვილი არ ჰყავდა, არც – და-ძმა და შესაბამისად, გარდაცვალების შემთხვევაში, ბიძისგან მიღებული ავლა-დიდება, ისევ ბიძაშვილებს დაუბრუნდებოდათ. ამიტომ, მათი თვალთვალი დაიწყეს და თან იმის გარკვევა, ნახეს თუ არა რომელიმე მათგანი მეზობლებმა ქვრივის სახლის სიახლოვეს.

„სისულელეა. მამაჩვენი, ერთი შეხედვით, არასწორად მოიქცა, მაგრამ მისი უცნაურობების გამო, თადარიგი დავიჭირეთ და მის სიცოცხლეშივე, ჩვენც დამოუკიდებლად დავიწყეთ ბიზნესის წარმოება. მან სიცოცხლეშივე იცოდა, რომ უფრო წარმატებულები გავხდით, რომ უფრო მეტი კაპიტალი დავაგროვეთ და, ალბათ, ეს ვერ აიტანა. შეხედეთ ჩვენს აქტივებს და მიხვდებით, რომ ის ბიზნესი არაფერში გვჭირდება“, – თქვეს გარდაცვლილი ბიზნესმენის შვილებმა და მართლებიც იყვნენ – მათი შემოსავლები ბევრად მეტი იყო, ვიდრე მამის მიერ ძმისშვილისთვის გადაცემული ბიზნესი.

გამოძიება სხვა გზით წავიდა. გადაწყვიტეს, დიასახლისის ფორმაში ოპერმუშაკი გამოეწყოთ და ის საღამოს შინ მისულიყო, დილით კი, სამსახურში წასულიყო. პარალელურად, ბინისთვის უნდა ეთვალთვალათ და თუ ვინმე შესვლას დააპირებდა, ადგილზე დაეკავებინათ. ხაფანგმა მეორე დღესვე იმუშავა – როგორც კი დიასახლისის ფორმაში გადაცმულმა ოპერმუშაკმა ბინა დატოვა, დაახლოებით, 20 წუთში, სახლის კარი ვიღაცამ გააღო. ბინაში კიდევ ორი თანამშრომელი იყო ჩასაფრებული და მათ დაუპატიჟებელი სტუმარი უმაარტივესად დააკავეს, რადგან... სტუმარი ახალგაზრდა ქალი იყო. მისი ჩანთის ჩხრეკის შემდეგ, კატის ბეწვი ამოიღეს. ყველაზე საინტერესო კი, ის გახლდათ, რომ დიასახლისი ამ ქალს არ იცნობდა და ამტკიცებდა, პირველად ვხედავო. სამაგიეროდ, ქალმა იცოდა, ვის ბინაშიც შედიოდა.

„სამი წელია, ამ ქალის ქმრის საყვარელი ვარ. ცოლად მოყვანას მპირდებოდა, მით უმეტეს, იცოდა, რომ ეს ქალი ბავშვს ვერ გაუჩენდა. ორსულად დავრჩი, ის კი, სწორედ იმ დღეს აპირებდა ცოლისთვის ყველაფრის თქმას, როცა დაიღუპა. იმ დღესაც ჩემთან იყო, გასაღები ჩემთან დარჩა, მერე კი, ეს უბედურება მოხდა. მისგან ვიცოდი, რომ ალერგიული იყო და იმდენად ალერგიული, რომ შეიძლებოდა ალერგიას სიკვდილიც გამოეწვია. ამიტომ, კატის ბეწვი ბალიშის პირსა და ბალიშს შორის ჩავუდე და როგორც ჩანს, ძლიერად კი იმოქმედა, მაგრამ გადარჩა. ახლა იგივეს გაკეთება მინდოდა, მითხრეს, კატას ბეწვს თუ არ შეაჭრი, თუ ამოწიწკნი და კანის ნაწილაკებიც წამოყვება, უფრო ეფექტური იქნებაო, თუმცა არაფერი გამოვიდა და მე და ჩემს შვილს სიღატაკეში მოგვიწევს ცხოვრება. სამწუხაროდ, აბორტის გაკეთება უკვე გვიანია, თორემ როგორც კი მისი სიკვდილის ამბავი გავიგე, მაშინვე გინეკოლოგთან გავიქეცი, მაგრამ ამაოდ“, – განაცხადა დაკავებულმა.

მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, სასამართლომ ქალს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და მართალია, მან ციხეში იმშობიარა, მაგრამ ბავშვზე დაბადებისთანავე უარი თქვა. სამაგიეროდ, იმ ქალმა, რომლის მოკვლასაც ცდილობდნენ, ბავშვი იშვილა და დამოუკიდებლად გაზრდა დაიწყო. ციხიდან გათავისუფლებული ბიოლოგიური დედა შეეცადა, გარკვეული თანხა მიეღო ბავშვის სანაცვლოდ, თუმცა როცა შეიტყო, რომ ბავშვს მემკვიდრეობით შიზოფრენია ერგო, გადაიკარგა. ჰო, მერე, მოგვიანებით თქვეს მეზობლებმა, რომ რეალურად, ბავშვს არაფერი სჭირდა – ეს მისმა აღმზრდელმა დედამ, ბიოლოგიური დედის დასაფრთხობად მოიფიქრა და როგორც ჩანს, არცთუ ურიგოდ გამოუვიდა.

სამეგრელოს პოლიციამ მუქარის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ი.ბ. მუქარის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 11 ივნისს, ბრალდებული ი.ბ., მარტვილის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, 1983 წელს დაბადებულ ს.შ.-ს, მათ შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს.

შემოსავლების სამსახური: „წითელ ხიდზე 15 ტონამდე აღურიცხავი საწვავის შემოტანის ფაქტი აღიკვეთა“

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვები პუნქტის – „წითელი ხიდი“ მებაჟე ოფიცრების მიერ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან შემოსული სატვირთო ავტომობილის და მისი მისაბმელის ეჭვის საფუძველზე დეტალური დათვალიერების შედეგად, სპეციალურად მოწყობილ სამალავში 15-ტონამდე არადეკლარირებული დიზელის საწვავი აღმოაჩინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

მათივე ინფორმაციით, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას, საბაჟო ზედამხედველობის ფარგლებში, მკაცრად კონტროლდება აღურიცხავი საწვავის შემოტანა.

შემოსავლების სამსახური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისგან.

პროკურატურამ ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციიდან მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე ათი პირი დააკავა

საქართველოს პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ათი პირი დააკავა. ამის შესახებ თბილისის პროკურორის მოადგილემ, ემზარ გაგნიძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს პროკურატურის მიერ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2022 წელს, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ, ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის და მისგან მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა.

გამოძიების თანახმად, ბრალდებულებისგან შემდგარმა ორგანიზებულმა ჯგუფმა, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო და დაუსაბუთებელი წარმოშობის ქონების გათეთრება. ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილდა ფუნქციები, რომელიც ემსახურებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების შენიღბვას და ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის ეკონომიკურ ბრუნვაში ლეგალური სახით აკუმულირებას.

„რაც შეეხება ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელს, ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებით თბილისში, სხვა პირების სახელზე, სარესტორნო და ღამის კლუბის ბიზნესს სამ სხვადასხვა მისამართზე ახორციელებდა.

საკლუბო ბიზნესის მიზანს ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია და მისგან მიღებული უკანონო წარმომავლობის დაფარვა და გათეთრება წარმოადგენდა. ორგანიზებული ჯგუფის წევრები ხელოვნურად ზრდიდნენ აღნიშნული კლუბების მიერ მიღებულ შემოსავლებს, კერძოდ, 2023 წლის ოქტომბრის თვეში, ბრალდებულებმა თითქოსდა მხოლოდ 5 დღის განმავლობაში 3 000 000 ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს, რა გზითაც, ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის წარმომავლობა შეინიღბა. თანხის ნაწილი სხვადასხვა პერიოდში დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა. ეს უკანასკნელი კი, თანხების საზღვარგარეთ გადარიცხვას და კრიპტოვალუტის გადაცვლის ოპერაციებს ახორციელებდა.

ასევე, ორგანიზებული ჯგუფის სხვა წევრები ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით, სისტემატიურად ახდენდნენ სხვადასხვა სახის კრიპტოვალუტის შეძენას, რომლის შემდგომი რეალიზაციით მიღებული თანხის განაღდებას ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელი ახდენდა.

ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, თითქოსდა ლეგალური გზით მიღებული თანხებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების სახელით ძვირადღირებული უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინა. კერძოდ, ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა, მის მიერ დაფუძნებული კომპანიის და ბრალდებულების სახელით, თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე შეიძინა დაახლოებით 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის საცხოვრებელი ბინები, კომერციული ფართები და მიწის ნაკვეთი. ამავე პერიოდში ორგანიზებული ჯგუფის წევრების სახელზე შეძენილია დაახლოებით 800.000 ლარის ღირებულების ძვირადღირებული ავტომობილები.

ზემოხსენებული ქონებების ღირებულება ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით სრულად იქნა გადახდილი. აღნიშნული ქმედებებით ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა ფულადი თანხის სახით განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი და სამ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება მიიღეს.

გამოძიების მიმდინარეობისას, ყადაღა დაედო ბრალდებულების საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებებს, რითაც მათ არ მიეცათ მათი შემდგომი განკარგვისა და გადამალვის შესაძლებლობა. პროკურატურა, დანაშაულებრივი წარმომავლობის ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

გამოძიებით, ასევე, დადგენილია, რომ 2024 წლის 10 ივნისს, ორგანიზებული ჯგუფის წევრებთან დანაშაულებრივად დაკავშირებულმა პირმა, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან მარნეულის რაიონის სოფელ ქერაჩმუღანლოში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტით, საქართველოში საზამთრო შემოიტანა, რომლის ყუთებში მოწყობილ სამალავებში მოთავსებული იყო უკანონოდ შეძენილი და შენახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 25 400 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანა, რაც საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელთა მიერ ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული. აღნიშნული ტვირთი ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სახელზე იგზავნებოდა, რომელიც ტვირთის გატარების მიზნით, დოკუმენტების მოწესრიგებას ცდილობდა, რათა აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ზემოხსენებული სქემით მომხდარიყო.

დაკავებულებს ბრალი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონო შემოტანის ფაქტებზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით – პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულებრივ სქემაში ჩართული სხვა პირების დადგენის მიზნით“, – განაცხადა ემზარ გაგნიძემ.

ვაჭრობა გრძელდება – კვარაცხელიას გარშემო ხმაური არ წყდება

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები და მისი ლიდერი, ხვიჩა კვარაცხელია ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაში არიან და რეალურად, სხვა არაფერი ადარდეთ, ქართველი ვარსკვლავის გარშემო, იტალიურ მედიაში ხმაური არ წყდება. ჯერჯერობით, მხარეები კონტრაქტის პირობების შეცვლაზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ და ეს მაშინ, როცა კვარას გადაბირებას „პარი სენ ჟერმენი“ ჯიუტად ცდილობს. „ნაპოლის“ პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი მზად არის, კვარაცხელიას სეზონში 5 მილიონი ევრო გადაუხადოს (ბონუსების ჩათვლით) და პარალელურად, კონტრაქტში, რომელიც 2027-დან 2029 წლამდე უნდა გახანგრძლივდეს, გამოსასყიდ თანხად 150 მილიონ ევროზე მეტი არ ჩაუწეროს.

„ფეხბურთელის მენეჯერს, მამუკა ჯუღელს სურს, რომ კვარაცხელიას ჯამაგირი 5 მილიონი ევრო და პლუს ბონუსები იყოს და ამასთან ერთად, გამოსასყიდი თანხა 100 მილიონს არ უნდა აჭარბებდეს. თუ მხარეებმა შეთანხმება ვერ მოახერხეს, ქართველი შემტევი მშვიდად გადავა ფრანგულ კლუბში, წლიურად 7 მილიონსაც მიიღებს და ამასთან ერთად, გაისად ჩემპიონთა ლიგაზეც ითამაშებს“, – წერს იტალიური მედია.

იგივეს ამბობს ფრანგული პრესაც. საფრანგეთში კვარაცხელიას მოუთმენლად ელიან და ამბობენ, რომ მისი გადაბარგების შემთხვევაში, ფრანგულ ლიგაში კვარაცხელიას დონის ვარსკვლავის მოძებნა გაძნელდება.

„ვალენსიამ“ მამარდაშვილის შემცვლელი იყიდა

ახლა უკვე ნამდვილად შეგვიძლია, გადაჭრით ვთქვათ, რომ გიორგი მამარდაშვილი ახალ სეზონს „ვალენსიაში“ აღარ დაიწყებს. „ღამურებმა“ ქართველი მეკარის შემცვლელი უკვე გადაიბირეს და კონტრაქტი ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრების კიპერთან, სტოლე დიმიტრევსკისთან გააფორმეს. დიმიტრევსკი, რომელსაც პრიმერადივიზიონში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს (6 სეზონი „რაიო ვალეკანოში“), ვალენსიელებმა ხელში უფასოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაიგდეს და 193-სანტიმეტრიან კიპერთან სამწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმეს.

სად წავა მამარდაშვილი? კითხვა, რომელიც ჩვენზე ნაკლებად ესპანელებსაც არ აინტერესებთ? გამოირიცხა „ნიუკასლის“ ვარიანტი, რადგან „ვალენსიამ“ მათ მიერ შეთავაზებულ 41 მილიონზე უარი თქვა და ინგლისურმა გუნდმა 15 მილიონად „ბარნლისგან“ ჯეიმს ტრაფორდი შეიძინა. ამბობენ, რომ ძალიან დიდია იმის შანსი, გიორგი კვლავ ესპანეთში დარჩეს და „ატლეტიკოს“ მაისური მოირგოს. თუ ასე მოხდება, მამარდაშვილი ჩემპიონთა ლიგაზე მუდმივად იასპარეზებს, რაც ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან კარგი ამბავი იქნება.

„მონაკო“ გადაწყდა და ფრანგები ადასტურებენ, მიქაუტაძე – არა

მას შემდეგ, რაც „მეცი“ საფრანგეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, ცხადი გახდა, რომ გუნდის ლიდერი, გიორგი მიქაუტაძე კარიერას სხვა გუნდში გააგრძელებდა. თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა, რომ ქვედა ლიგაში ასპარეზობას არ აპირებდა და მომავალთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდებოდა. ჰოდა, ფრანგულმა მედიამ დაწერა, რომ სამი ვარიანტიდან („მონაკო“, „ლიონი“, „რენი“), ჟორჟმა სათავადოს გუნდი ანუ „მონაკო“ აირჩია და კარიერას სწორედ იქ გააგრძელებს. მეტიც, ფრანგები წერენ, რომ მიქაუტაძის სანაცვლოდ, „მონაკომ“ 22 მილიონი ევრო უკვე გადაიხადა. თავად გიორგი კი ამბობს, ჯერჯერობით, არჩევანი არ გამიკეთებიაო, მაგრამ ფრანგები წერენ, ყველაფერი გადაწყვეტილი და დასრულებულია, უბრალოდ, მიქაუტაძე არ ადასტურებს, რადგან სრული კონცენტრაცია ევროპის ჩემპიონატზე სურსო.

თუ ეს ამბავი მართალია, „მეცი“ აშკარა სარგებელს ნახავს. გასული სეზონის სტარტზე ამ კლუბმა მიქაუტაძე „აიაქსში“ 16 მილიონ ევროდ გაყიდა, იანვარში – 13 მილიონად გამოისყიდა და ახლა ისე ჩანს, „მონაკოში“ 22 მილიონად გაუშვა.

„დილადან“ მოტაც წავიდა

გორის „დილა“ პორტუგალიელმა სპეციალისტმა, რუი მოტამ დატოვა, რაც ძალიან მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. საქმე ის გახლავთ, რომ მოტა საქმეს კარგად უძღვებოდა, 18 ტურის შემდეგ, გორელები საქართველოს ჩემპიონატის უმთავრეს ლიგას 39 ქულით ლიდერობდნენ, მეორე ადგილზე მყოფ „ტორპედოს“ 4 ქულთ უსწრებდნენ და ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტებიც არიან, მაგრამ მოტამ და მისმა თანაშემწემ, ემანუელ რიბეირომ წასვლა გადაწყვიტეს.

„ზუსტად იგივე მოხდა, რაც ანატოლი დემჩენკოს შემთხვევაში. ამ შემთხვევაშიც, კონტრაქტში იყო მუხლი, რომელიც მას თანამდებობიდან დაუბრკოლებლად წასვლის უფლებას აძლევდა. ჩვენ ბევრს ვეცადეთ, მაგრამ მისი გადარწმუნება ვერ მოვახერხეთ. კლუბის ხელმძღვანელობა აქტიურად არის ჩართული ახალი, უცხოელი მწვრთნელის ძიებაში“, – ნათქვამია „დილას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ეჭვი გვქონდა, დემჩენკოს დარად, მოტასაც უკეთეს კლუბში შესთავაზეს სამუშაო და მანაც დაწყებული საქმე შუა გზაში ამიტომ მიატოვა, რაც, როგორც გუნდისთვის, ისე – ქართული ფეხბურთისთვის, კარგი ნამდვილად არ არის. ჰოდა, ახლა გაირკვა, რომ იგი კარიერას სომხურ „ნოაში“ გააგრძელებს, კლუბში, რომელიც ახლახან დასრულებულ სომხეთის ჩემპიონატში, მეორე ადგილზე გავიდა და გაისად, ევროპა-ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. ჩვენი ინფორმაციით, მოტას სომხებმა იმაზე ორჯერ მეტი ჯამაგირი შესთავაზეს, ვიდრე ის საქართველოში, გორის „დილაში“ იღებდა.

ევროპა რეკორდებით დაიწყო

ევროპის მე-17 ჩემპიონატმა სტარტი საინტერესოდ აიღო. ტურნირის მასპინძელმა გერმანიამ, შოტლანდია 5-1 გაანადგურა და კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ ისინი კონტინენტის პირველობის მოგების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან. ამ შეხვედრაში რამდენიმე რეკორდი დაფიქსირდა.

მააშ ასე – ბუნდესნაკრების თავკაცი იულიან ნაგელსმანი გახდა პირველი მწვრთნელი, რომელიც მინდვრის მოთამაშეზე ახალგაზრდა იყო. 14 ივნისს, ნაგელსმანის ასაკი 36 წელი და 327 დღე გახლდათ მაშინ, როცა გუნდის ძირითადი კიპერის, მანუელ ნოიერის ასაკი 38 წელს ზემოთაა. ნაგელსმანი ტურნირის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტიც გახდა, მანამდე ეს ტიტული სლოვენიის ოდინდელ თავკაცს, სრეჩკო კატანეც ეკუთვნოდა, რომელმაც სლოვენიელები ევროპაზე 36 წლის და 333 დღის ასაკში გაიყვანა.

ევროპის ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ერთი გუნდის ერთბაშად ორმა, 21 წლის ფეხბურთელმა მოახერხა ერთ შეხვედრაში გოლის გატანა. ეს გერმანიის ამომავალმა ვარსკვლავებმა – ფლორიან ვირცმა და ჯამალ მუსიალაამ მოახერხეს. გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველად მოიგო ასეთი სხვაობით, ხოლო 5-1 ანუ ასეთი სხვაობით გამარჯვება, ევროპის ჩემპიონატის არცერთ გახსნით შეხვედრაში არ დაფიქსირებულა.

და ერთიც – მანუელ ნოიერმა მერვე დიდ საფეხბურთო ფორუმზე მიიღო მონაწილეობა (ევროპას პლუს მსოფლიოს ჩემპიონატი) და ამ მიღწევით ლეგენდარულ ჯანლუიჯი ბუფონს გაუთანაბრდა.

პატარა საგიჟეთი სამწვრთნელო კორპუსში!

სანამ ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, კლუბები მწვრთნელების გაშვება-დანიშვნით არიან დაკავებული და ამ ამბავს ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ არა...

საკუთარი სურვილით თანამდებობა დატოვა დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცმა ედინ ტერზიჩმა. არადა, ამ კაცმა გერმანული კლუბი წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, მომავალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოაპოვებინა და მის გაშვებას არავინ აპირებდა, თუმცა...

„ყველაზე მშვიდად სწორედ მწვრთნელის მიმართულებით ვიყავით, მაგრამ ტერზიჩმა თავად დაწერა განცხადება გადადგომაზე და ჩვენ ის დავაკმაყოფილეთ. ახლაც ვერ ვხვდებით, რატომ გადაწყვიტა მან წასვლა იმ გუნდიდან, რომელიც, პრაქტიკულად, თავად ააშენა და უდიდეს ტრიუმფამდე ნაბიჯი დააკლდა“, – წერია კლუბის განცხადებაში.

მწვრთნელი შეცვალა იტალიურმა „მილანმაც“ და პოსტი პაულუ ფონსეკას ჩააბარეს. რომ გითხრათ, ფონსეკა გამოცდილი და ტოპ-კლასის მწვრთნელია-თქო, მოგატყუებთ და ჩვენს გარდა, მისი დანიშვნა არც „მილანის“ გულშემატკივარს მოეწონა. „როსონერის“ ფანები ისე გაბრაზდნენ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალური პრეზენტაციაც კი ვერ გამართა, რადგან გულშემატკივრებს ობსტრუქცია არ მოეწყოთ.

ამ ყველაფერთან ერთად, აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, თუ რა მოხდა აზერბაიჯანის ნაკრებში. ქვეყნის უპირველესი გუნდი, ჩვენმა მეზობლებმა, პორტუგალიელ ფერნანდუ სანტუშს ჩააბარეს. ვისაც სახელით და გვარით არ გეცნოთ, შეგახსენებთ, რომ სანტუში ის კაცია, ვისი ხელმძღვანელობითაც პორტუგალიის ნაკრებმა, 2016 წელს, ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

წინასიტყვაობასავით, ანუ რას ვაპირებ

ოტია იოსელიანი

გადაწყდა!..

ვიცვამ რკინის ქალამნებს, ვისხამ ნაბადს, ვიხურავ ქუდს, ვიჭერ ხელში რკინის ჯოხს და მივდივარ. მივდივარ მთელი ქვეყნის შემოსავლელად. არ ვიცი, რამდენი დამაგვიანდება, ან როდის დავბრუნდები, არც ის ვიცი, რა ფათერაკს გადავეყრები და რა მელის, რაკი მთელი ზღვა და ხმელეთი უნდა მოვიარო.

ვივლი შარა-შარა, ბილიკ-ბილიკ, გავკაფავ უსიერ ტყეებს, გადავივლი თეთრ მწვერვალებს, ყინულოვან ოკეანეთს, ცხელ ტროპიკებს. ვნახავ ციო ქვეყნებს, თონესავით გავარვარებულ უდაბნოებს, გავტოპავ მდინარეებს, ჭაობებს, გადავცურავ ტბებს, ზღვებს.

ვიხეტიალებ უზარმაზარ ქალაქებში, სოფლებში, თვალუწიერ სტეპებში და ველ-მინდვრებში... ვიმოგზაურებ და სადაც დამიღამდება, იქ გამითენდება. ვივლი ურმით, ცხენით, აქლემით, სპილოთი, ძაღლების მარხილით, ირმით, დელფინით, ვეშაპით... კუც თურმე იმოდენა იზრდება, მის ბაკანზე თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს ადამიანი; არწივებს, ორბებს ან ფასკუნჯებს შეიძლება თასმები გამოაბა, ჩამოეკონწიალო, აუქნიო სახრე და იფრინო საითაც მოგეგუნებება. აქამდე სულ მატარებლით, მანქანით, გემით და თვითმფრინავით ვმოგზაურობდი. რამდენი რამ მინახავს, რამდენი ქალაქისა და სოფლისათვის გადამიფრენია.

ზღვაც გადამიცურავს, მდინარეც, მაგრამ რომ მკითხო, რომელ ქვეყანაში, როგორი ბავშვები ან მოზრდილები ცხოვრობენ, რა უჭირთ, ან რა ულხინთ, ვერ გეტყვით. რომელ ტყეში როგორი ნადირი დაძრწის, არაფერი გამეგება; რომელ ოკეანეში რომელი თევზი ჭარბობს, წარმოდგენა არა მაქვს; დედამიწის გულში რა ცეცხლი და მდუღარე ტრიალებს, ვულკანებად რომ იფრქვევა, ხომ არ ვიცი და არ ვიცი. ესაა სიცოცხლე? ახლა ისეთი დროა, ვარსკვლავებზე რა ხდება, ის უნდა იცოდნენ და მე ასე თხუნელასავით, როგორ განვვლო წუთისოფელი. ავდგე, დავლიო ჩაი, ვიმუშაო, ვისეირნო, ვივახშმო, დავწვე და დავიძინო.

მეორე დღეს ისევ ჩაი, სადილი, ვახშამი, ძილი... ყოველდღე, ყოველთვის ერთი და იგივე, აღარ შემიძლია მეტი...

გათავდა, მორჩა!

აი, ვიცვამ ქალამნებს. უბრალოს კი არა, რომ გამიცვდეს და თითი გამომვარდეს, არა, რკინის ქალამნებს, ვისხამ ნაბადს - სიცხეში მზისგან დამიფარავს და ყინვაში სიცივისაგან. ვიხურავ ნაბდისავე ქუდს, ვიჭერ ხელში რკინის ჯოხს და ვადგები გზას. თან კომპასიც კი არ მიმაქვს.

კომპასი მას სჭირდება, ვინც იცის, სახელდობრ, რომელ მხარეში და ქვეყანაში მიეშურება. მე მივდივარ ყველგან, ყველასთან, ყველაფერთან, რაც დედამიწაზეა და კომპასი და რუკა რისი მაქნისია.

საათი და კალენდარიც კი არ მიმაქვს. როდის დავბრუნდები, წლის რომელ დროს, არ ვიცი. ამას გარდა, ჩრდილოეთში რომ ზაფხულია, სამხრეთში ზამთარია, ეკვატორზე კიდევ სულ ცხელა, დღე და ღამე არც იკლებს და არც იმატებს, აბა, კალენდარს რა თავში ვიხლი. არ მიმაქვს არავითარი იარაღი. შეიარაღებულ კაცს ყველა ეჭვის თვალით უცქერის: თუ სამოგზაუროდ და სამეგობროდ დადის, თოფი და ხანჯალი რად უნდაო. საჭმელ-სასმელი ზურგით იმდენი რა უნდა წავიღო, მთელი ქვეყანა მოვიარო და მეყოს. თითქმის მთლად ცარიელ-ტარიელი ვადგები ამოდენა გზას, თუ რამეს ვიპოვი, თორემ არაფერს დავკარგავ.

არ გაგიკვირდეთ და... ერთადერთი ჩემი ტვირთი იქნება გალია. კი, საკმაოდ მოზრდილი გალია მექნება თან, რომელიც საფოსტო მტრედებითაა სავსე. სიმართლე რომ ითქვას, ჩემი სამოგზაურო საზრუნავი ესღა იყო. გადავყევი ამოდენა სხვადასხვაფერი მტრედის შოვნას. ამდენ ხანსაც ამან შემაყოვნა, თუ არა, გზას რა ხანია დავადგებოდი.

ახლა, მადლობა ღმერთს, ბედის სამდურავი არ მესმის. გალიაში სამ სართულადა მაქვს ქანდარები განლაგებული და სულ ფერად-ფერადი მტრედებითაა სავსე. დავიჭერ ხელში, გავიდებ მხარზე, ან ზურგზე მოვიკიდებ და რასაც ვნახავ, დავწერ, შევაბამ მტრედს და ჰაიდა, ავუშვებ ცაში.

მტრედს ისეთი უტყუარი გუმანი აქვს, არც დაიკარგება და ამბავსაც მოიტანს. ამას გარდა, მტრედებიანი კაცი რომ უცხო ქვეყანას მიადგეს, არა მგონია, ვინმემ კარი ფართოდ არ გაუღოს. იმიტომ კი არ ვაპირებ ქვეყნის ატალახებას, რომ მერე გავიქაჩო, შემხედეთ, რა დიდი ვინმე ვარ, მთელი დუნია ფეხით მომივლია და დედამიწის გულში რაა, ისიც ვიცი-მეთქი.

ცოდნა და გამოცდილება ხალხს თუ არ გაუზიარე და მოახმარე, რკინის ქალამანი რომ რკინის ქალამანია, იმის ღირსიც არა ხარ. გადაწყვეტილი მაქვს, ბარათები ბავშვებმა მიიღონ. შეიძლება, ჟურნალ-გაზეთებშიც დაიბეჭდოს და ის, რასაც მე ვნახავ, თქვენც გეცოდინებათ. დიდები ეჭვიანები არიან, არ დაგიჯერებენ ნათქვამს. შეიძლება, ისეთი რამ ვნახო, მეც არ დავიჯერო, მაგრამ იმის შიშით, ყურად არავინ იღებს-მეთქი, არ მოვიწერო?

უცნაურისა და გაუგონარის ხილვა რომ მინდა, იმიტომ ამოვისხი რკინის ქალამნები. ბავშვები კი სულ სხვაა: კეთილი, გულდანდობილი და ღვთისნიერი. რაც მოგწეროთ, როგორმე, ყურადღებით წაიკითხეთ, ან მოისმინეთ, რაკი ადვილად შეიძლება, იმ ბარათის შემდეგ, მგელმა შემჭამოს, ან ზვიგენმა დამფლითოს... მაშ, ასე, აგერ ქალამანზე თასმას ხელახლა ჩავამარყუჟებ, ნაბადს მოვიგდებ, ქუდს ჯერჯერობით თვალებზე ჩამოვიფხატავ, ამ ახლომახლო არავინ მიცნოს და მუსაიფი არ გამიბას, ნაბადიანი კაცი ჩვენს დროში გაგონილაო!

სანამ აქაურობას გავცდები, მტრედებიან გალიასაც კალთის ქვეშ დავმალავ და გავსწევ... თქვენ იცით, თუ თვალ-ყურს ადევნებთ ამ უკიდეგანო დედამიწაზე მოხეტიალე მოგზაურს... ერთი სიტყვით, თქვენი იმედით ვიქნები.

გრძელი თმის გამო დააჯარიმეს

ავსტრიაში, სამი ათასი ევროთი დააჯარიმეს პოლკოვნიკი „ძალიან გრძელი“ თმის გამო. ასეთი ვარცხნილობით ის სამსახურში დადის. გამოცემა Heute-ის ცნობით, სამხედროებს ევალებათ, თმა მოკლედ ჰქონდეთ შეჭრილი და თვალები და ყურები არ ჰქონდეთ დაფარული. როგორც მედია წერს, ავსტრიის შეიარაღებული ძალების სამხედრო უსაფრთხოების განყოფილების ხელმძღვანელმა, პირადი მოტივებით, უკვე ოთხჯერ დაარღვია განაწესი. პოლკოვნიკის თქმით, ის თავს დისკრედიტებულად გრძნობს, რადგან თმის უკან შეკვრის უფლება მხოლოდ ქალ-სამხედროებს აქვთ.

ველოსიპედებს უფასოდ დაურიგებენ

ნიდერლანდების დედაქალაქში, 3 250 ველოსიპედს, რომელიც მუნიციპალიტეტის საწყობებში ინახება, უფასოდ გასცემენ. ამ ნაბიჯით, ამსტერდამი იმ ადამიანების მხარდაჭერას ცდილობს, რომლებსაც ამ ეკოლოგიური ტრანსპორტით რეგულარული გადაადგილების გამოცდილება არ აქვთ და მათ ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ უბიძგებს. ყველა ველოსიპედი კარგ მდგომარეობაშია, შეკეთებულია და შესაბამისი სტანდარტების მიხედვითაა შემოწმებული. დედაქალაქის ზოგიერთ რაიონში უკვე ტარდება ამ ტრანსპორტის მართვის გაკვეთილები. ადრე, ამ კურსების დასრულების შემდეგ, ყველა „მოსწავლეს“ ჩუქნიდნენ ველოსიპედს. თავიდან 500 ცალის გადაცემა იგეგმებოდა, თუმცა ეს ინიციატივა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ შედეგად, 1 140 ველოსიპედი დაარიგეს. იმ ადამიანების 90%, რომელთაც ეს საჩუქარი მიიღეს, აცხადებენ, რომ კვირაში სამჯერ მეტად გადაადგილდებიან ქალაქში ამ ეკოტრანსპორტით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები სხვადასხვა მეთოდებს იგონებენ, რათა ადამიანებს ავტომობილით გადაადგილების ნაკლები სურვილი ჰქონდეთ. მაგალითად, ჩეხეთში, ყოველწლიურად ტარდება საერთო-ეროვნული „ჩელენჯი“, რომლის მონაწილეებიც ვალდებულები არიან, ერთი თვის განმავლობაში, სამსახურსა თუ სასწავლებელში, ველოსიპედით იარონ.

პაპი მოკლე ქადაგებებისკენ მოუწოდებს



პაპა ფრანცისკემ მღვდელმსახურებს მოუწოდებს, მათი ქადაგებები 8 წუთზე მეტხანს არ გაგრძელდეს, რათა ტაძარში მისულ მრევლს არ ჩაეძინოს. კათოლიკურ ეკლესიაში ქადაგება ბიბლიის წაკითხვის შემდეგ იწყება და მისი მიზანი, ჩვეულებრივ, ადამიანების რწმენაში განმტკიცებაა. პაპმა აღნიშნა, რომ ღვთისმსახურები ზოგჯერ „ბევრს და გაუგებრად ლაპარაკობენ“. ფრანცისკემ აღნიშნა, რომ ქადაგება მოკლე და შინაარსიანი უნდა იყოს.

დაჩაგრულ კაცებს თავშესაფარი გაუხსნეს

ნიდერლანდებში, ქალაქ როტერდამში, სპეციალური თავშესაფარი გაიხსნა, სადაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლ მამაკაცებს უმასპინძლებენ. მსგავსი დაწესებულებები გაიხსნა, ასევე, ამსტერდამში, ჰაგასა და უტრეხტშიც. ქვეყანაში არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ყოველი მეხუთე, ცოლებისგან დაზარალებული მამაკაცია. როგორც ჰოლანდიელი ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს უჭირთ წყენის ვინმესთვის გაზიარება და საკუთარი განცდების გასაყუჩებლად სასმელს ან ნარკოტიკებს მიმართავენ. თავშესაფრები კი იმისთვის არის მოწოდებული, რომ მამაკაცებს ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარონ. პირველი თავშესაფრები, რომლებიც ჯერჯერობით სულ 40 ადამიანზეა გათვლილი, საცდელი პროექტია, თუმცა ორგანიზატორები ეჭვობენ, რომ ადგილები საკმარისი არ იქნება ყვლა იმ მამაკაცისთვის, რომლებსაც დახმარება ნამდვილად სჭირდება.

ჩინელებმა ჩანჩქერიც გააყალბეს

ულამაზესი ჩანჩქერი მთა იუნტაოზე ნაწილობრივ ხელოვნური აღმოჩნდა. იუნტა- ის ჩანჩქერი ყველაზე მაღალ ჩანჩქერად ითვლება ჩინეთში და ზოგჯერ აზიაშიც. მისი სიმაღლე 314 მეტრია. ეს პოპულარული ტურისტული ადგილია, რომლის მონახულებისთვისაც ადგილობრივი ხელისუფლება მსურველებს 120 იუანს (17 დოლარი) ახდევინებს. ჰენანის პროვინციის კულტურისა და ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემებით, მარტო გასულ წელს, ჩანჩქერს 7 მილიონი მნახველი ჰყავდა და ბიუჯეტიც 90 მილიონი დოლარით შეივსო. თუმცა, აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად „სუფთაც“ არ ყოფილა – რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში გამოჩნდა ვიდეო, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ჩანჩქერი ნაწილობრივ ხელოვნურია, რადგან წყლის ნაკადის მიწოდებას მილების სისტემა უზრუნველჰყოფს. იქაური ბუნებრივი პარკის ადმინისტრაცია კი ირწმუნება, რომ ჩანჩქერი ბუნებრივია, რომელიც მილიარდობით წლის განმავლობაში წარმოიქმნა და წყალი ბუნებრივი გზით გადმოედინება მთიდან. „მილები მას მხოლოდ მშრალ სეზონზე „ეხმარება“, რათა უამრავ ტურისტს, რომლებიც აქ შორიდან ჩამოდიან, ჩვეულებრივი სანახაობა დახვდეთ და საუკეთესო შთაბეჭდილებებით წავიდნენ“, – აცხადებენ პარკის თანამშრომლები.

ყავა მწვანე ხახვით?

„ღვთაებრივი სასმელი“ და მწვანე ხახვი ნამდვილად არ არის შექმნილი ერთმანეთისთვის, არადა, ლატე ამ ბოსტნეულით დღეს მოდაშია ჩინეთში. სოციალურ ქსელებში უამრავი ფოტო თუ ვიდეო ვრცელდება რძიანი ყავით სავსე ჭიქებით, რომელიც ხახვით არის „ამწვანებული“. როგორც მედიაშიც წერენ, კარგი „ლატე“ მწვანე ხახვით რომ მოამზადოთ, ფინჯანში ცოტა ხახვი უნდა გასრისოთ, შემდეგ დაუმატოთ ყინული, რძე და ყავა, ბოლოს კი ბევრი, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი. არავინ იცის, როდის და სად დაამზადეს ამ წესით პირველად ეს სასმელი, მაგრამ ბოლო თვეებია, ეს გიჟური ყავა ინტერნეტში ყურადღების მისაქცევად საუკეთესო „იარაღია“. რეაქცია ხახვიან „ლატეზე“, რასაკვირველია, არაერთგვაროვანია. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, ყავის შეკვეთისას, „უხახვოს“ მითითება თუ დასჭირდებოდათ, ზოგიც აცხადებს, რომ ერთგვარი ინტრიგაა ეს უნიკალური „ლატე“, თუმცა მისი მირთმევის შემდეგ, ხახვის სუნით არიან შეწუხებულები.

რძე მოწევის წინააღმდეგ

ჰოლანდიელი სწავლულები ირწმუნებიან, რომ შესაძლოა, რძე ადამიანს მოწევის მავნე ჩვევის დაძლევაში დაეხმაროს. მათმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ რძე, ბოსტნეული და სუფთა წყალი სიგარეტის გემოს აუარესებს. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ ეს მონაცემები მათ დაეხმარება მწეველებისთვის სპეციალური საღეჭი რეზინის შემუშავებაში, რომლის წყალობითაც მოწევას თავს დაანებებენ. სწავლულების ექსპერიმენტში 210 მწეველი მონაწილეობდა. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რა აუმჯობესებდა და პირიქით, რა აუარესებდა სიგარეტის გემოს და მოწევის სურვილს უკარგავდათ. აღმოჩნდა, რომ რძე და რძის პროდუქტები მნიშვნელოვნად აფუჭებდა საუკეთესო ხარისხის სიგარეტის გემოსაც კი. მეორე ადგილზე უკოფეინო სასმელები აღმოჩნდა – წყლის ან წვენების დალევის შემდეგ, ვეღარ ატანდნენ მოწევას ჩვეულ გემოს, გარდა ამისა, თამბაქოს გემოს უკარგავს ხილ-ბოსტნეულიც. სიგარეტის „გაკეთილშობილებაში“ მწეველებმა პირველ ადგილზე ალკოჰოლი დაასახელეს, შემდეგ ყავა და ჩაი, ზოგი კი ხორცისა და თამბაქოს გემოს შერწყმას მიიჩნევდა საუკეთესოდ.

„ფასტფუდი“ მეხსიერებას აქვეითებს

ამერიკელმა სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს კვლევები და აღმოაჩინეს, რომ რაციონში დიდი რაოდენობით ცხიმიანი და ტკბილი საკვები სამუდამოდ აუარესებს ინფორმაციის დამახსოვრების უნარს. მღრღნელებს სხვადასხვა ადგილას ახალი ობიეტების ათვისებას სთავაზობდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში, მათ ისეთივე გარემო შეუქმნეს, როგორც პირველ დღეებში და მხოლოდ ერთი ახალი საგანი დაუმატეს. თაგვებმა, რომლებიც არაჯანსაღ საკვებს ჭამდნენ, ვერ გაიხსენეს, სად და რა ნახეს. მღრღნელები საკონტროლო ჯგუფიდან კი ადვილად სცნობდნენ ნანახ საგნებს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მოზარდობის პერიოდში ასეთი კვებითი რაციონი ადამიანს მსგავს შედეგებამდე მიიყვანს და ის ვეღარასდროს გამოსწორდება, თუნდაც შემდგომში ჯანსაღ კვებაზე გადავიდეს.

ყავა გულისთვის სასარგებლოა?

დღეში ერთი ან მეტი ფინჯანი შავი ყავა გულის უკმარისობის რისკს ამცირებს – განაცხადეს ამერიკელმა მკვლევარებმა. აშშ-ის გულის ასოციაცია ამ დასკვნამდე სამი მასშტაბური კვლევის შედეგების შეჯამების შემდეგ მივიდა. კვლევებში, დაახლოებით, 21 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ერთ-ერთი კვლევა კი 72 წელი მიმდინარეობდა. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ყავის მსმელებს შორის გულის უკმარისობის რისკი 5-დან 12%-მდე ნაკლებია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ყავას არ მიირთმევენ. თუ ადამიანი დრეში ორ ფინჯან მატონიზირებელ სასმელს მიირთმევს, ეს მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგი მხოლოდ შავი, უშაქრო ყავის მოხმარების შემდეგ მიიღწევა. გულის უკმარისობის რისკს არც უკოფეინო ყავა ამცირებს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მიღებული შედეგები მათთვის გასაკვირი აღმოჩნდა.

ბადრიჯანი – დღეგრძელობის პროდუქტი

სწავლულები აცხადებენ, რომ ბადრიჯანი განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტია. ის ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგან გვიცავს. ეს ბაღჩეული კულტურა დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან იცავენ. ეს უკანასკნელი არღვევს უჯრედის სტრუქტურას, აჩქარებს დაბერების პროცესს და ხელს უწყობს კიბოს განვითარებას. კვლევებით დადასტურებულია, რომ ბადრიჯანში შემავალი ნივთიერება SRG კლავს სიმსივნურ უჯრედებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, აფერხებს გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ამ მელნისფერ ბოსტნეულს დღეგრძელობის პროდუქტსაც უწოდებენ, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში მისი დადებითი როლი გამორჩეულია. ბადრიჯანი მდიდარია უჯრედისით, პექტინითა და ცილებით. ის შეიცავს კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რიკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, ცე, ბე და პე-ჯგუფის ვიტამინებს.

ყველაზე ფართო გზა არგენტინაშია

არგენტინის დედაქალაქში, ბუენოს-აირესში მდებარე „9 ივლისის ქუჩა“ (ავენიდა) გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე ფართო ქუჩა. მისი სიგანე, დაახლოებით, 140 მეტრია, მასზე 16 ზოლია, პლუს 4 ზოლი – საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. ამის გამო, ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა ძალიან რთულია. 9 ივლისის ავენიდის ისტორია ქვეყნის დედაქალაქის დიდების პერიოდიდან მოდის. ბუენოს-აირესს „სამხრეთ ამერიკის პარიზს“ უწოდებდნენ, ამის გამო, ადგილობრივებმა გადაწყვიტეს ინფრასტრუქტურის მონუმენტალური ობიექტის მოწყობა, რაც ელისეს მინდვრებით იქნებოდა შთაგონებული. არგენტინელებს უბრალო ასლის გადმოღება არ აკმაყოფილებდათ, უფრო დიდი და შთამბეჭდავი რამ სურდათ. მათი არჩევანი დედაქალაქის ცენტრში არსებულ შოსეზე შეჩერდა, რომელიც ორჯერ ფართო იყო პარიზულზე. ეს კოლოსალური პროექტი, რომლის რეალიზაციასაც თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა, 1980 წელს დასრულდა და ის დღემდე ინარჩუნებს მსოფლიოში ყველაზე ფართო გზის სახელს. მის ასაშენებლად ცენტრიდან 60 ათასი კვადრატული მეტრი უძრავი ქონება აიღეს და ათასობით ადამიანი გამოასახლეს, გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობა რომ დასრულებულიყო. დღეს ავენიდა ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც მისი გახსნის დროს.

100 წლის ომის ვეტერანი დაქორწინდა

100 წლის ამერიკელმა ჰაროლდ ტერენსმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია, თავის 96 წლის შეყვარებულზე, ჯინა სვერლინზე იქორწინა. სადღესასწაულო ცერემონია საფრანგეთში, ნორმანდიაში გაიმართა, სადაც ვეტერანი, ამერიკული ჯარების ნორმანდიაში გადასხდომის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამერიკულ დელეგაციასთან ერთად ჩავიდა. ქორწილი ძველ, ელეგანტურ რატუშაში, კარანტანაში შედგა. ახალდაქორწინებულებს განსაკუთრებულად უმასპინძლეს – ისინი ელისეს სასახლეში, სახელმწიფო ბანკეტზე მიიწვიეს, რომელსაც პრეზიდენტები – ემანუელ მაკრონი და ჯო ბაიდენი ესწრებოდნენ.

მაღაზიებში ვერტიკალური ფერმები დადგეს

სამხრეთ აფრიკულმა „რითეილერმა“ – Pick N Pay, სასათბურე ფერმასთან – CAN-Agri ერთად, გადაწყვიტა, მაღაზიებში „ვერტიკალური ფერმები“ დადგას, მყიდველს მეურნეობისადმი ინოვაციური მიდგომები რომ აჩვენოს. ეს მიდგომები 95%-ით ნაკლები წყლის, სასუქისა და პესტიციდების გამოყენებას ითვალისწინებს. ქალაქ სენდტონისა და კეიპტაუნის მარკეტებში უკვე დაიდგა ასეთი ფერმები – 24 რიგი მწვანე მცენარეებით და ბუნებრივი განათებით. ასე მყიდველი თვალნათლივ ხედავს მოსავლის მოყვანის უფრო მდგრადი მეთოდების დანერგვის შედეგსა და საკვები ნარჩენების პრობლემის გადაწყვეტას. იდეის ავტორები აპირებენ, ახლო მომავალში, სამხრეთ აფრიკის სხვა ქალაქებშიც გაჩნდეს ასეთი „ვერტიკალური ფერმები“.

ჩინოვნიკებს გაღიმება დაევალათ

ფილიპინების ქალაქ მულანაის მერმა, არისტოტელ აგირემ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ ჩინობნიკებს სამუშაო ადგილებზე გაღიმება დაევალათ. ამასთან, თუკი რომელიმე მის ქვეშევრდომს სამსახურში სევდიანი გამომეტყველებით მჯდომარეს აღმოაჩენენ, ეს დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება. „თუკი ჩვენი თანამშრომელი, ან თანამდებობის პირი, საკუთარი ქმედებით ამ მოთხოვნას არ დაექვემდებარება, ეს საკმარისი საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი ქმედება კეთილსინდისიერი მუშაობის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს“, – ნათქვამია მერის დადგენილებაში.

ბროკოლი ანტიბიოტიკების ნაცვლად?

სწავლულებმა ისრაელიდან აღმოაჩინეს, რომ ბროკოლში, ყვავილოვან კომბოსტოსა და სხვა ბოსტნეულში არსებული დიინდოლილმეტანი (DIM) ჭრილობებს ანტიბიოტიკზე ორჯერ უფრო სწრაფად ახორცებს. ამ ნივთიერებაზე დამზადებული საცხი ღორებზე გატესტეს. აღმოჩნდა, რომ ის ხელს უშლის ბაქტერიების სიცოცხლისუნარიანობას. ამის წყალობით, ჭრილობა ხუთ დღეში ხორცდება. ანტიბიოტიკების შემცველი პრეპარატებით კი ამ პროცესს 10 დღე დასჭირდა. სპეციალისტები ახლა სრულყოფილი საცხის შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც ადამიანებზე გამოიყენებენ. თუკი კვლევები წარმატებული აღმოჩნდება, ის ანტიბიოტიკებს ჩაანაცვლებს.

პაემანზე მიუსვლელობისთვის უჩივის

აშშ-ის მიჩიგანის შტატში მცხოვრებმა ქალმა, კიუეი-შონტე შორტმა მის ნაცნობ მამაკაცს, რიჩარდ ჯორდანს იმის გამო უჩივლა, რომ ის პაემანზე მისვლას დაპირდა და არ მივიდა. „დაზარალებული“ კაცისგან 10 ათასი დოლარის კომპენსაციას ითხოვს – განზრახ მიყენებული ემოციური სტრესისთვის. „სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, სარჩელს თუ მიიღებდნენ, რადგან ჩვენ მხოლოდ ერთი პაემანი გვქონდა და მეტი არაფერი. ახლა კი ამხელა თანხის გადახდას ითხოვენ. ეს დროის ფუჭი ხარჯვაა“, – განაცხადა სარჩელის ადრესატმა, საქმის დისტანციური განხილვისას. შორტი ჯორდანს „ცრუ ჩვენების მიცემაში“ ადანაშაულებს, რადგან დაპირდა და არ მივიდა პაემანზე. მოსამართლემ ქალს განუმარტა, რომ არასწორად ესმის იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა.

წყალი ტვინს სექსივით სიამოვნებს

ამერიკელმა სწავლულებმა გამოარკვიეს, რომ წყლის მიღებისას, ტვინის ნაწილი დოფამინს გამოყოფს, როგორც ეს სხვა სასიამოვნო ქმედებისას, მაგალითად, სექსის დროს, ან გემრიელი საკვების მირთმევისას ხდება. მკვლევარები ამ პროცესს მღრღნელებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას აკვირდებოდნენ. ცხოველებს შეუზღუდავი წვდომა ჰქონდათ წყალზე, ხუთი წუთის განმავლობაში, მერე კი მათი ტვინის იმპულსებს სწავლობდნენ. დოფამინის დონე მაშინვე იზრდებოდა, როგორც კი წყლის სმას დაიწყებდნენ. ათი წუთის შემდეგ, კვლავ ზომავდნენ ნეირომედიატორების რაოდენობას. შედეგად გაირკვა, რომ ის უფრო მეტად იწევდა, როცა წყალი აითვისებოდა ორგანიზმის მიერ.

ანორექსიის წამალი შექმნეს

ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა სტატია ახალ პრეპარატზე, რომელიც მადის გამოწვევაში ეხმარება და ანორექსიას სძლევს. ის კროკის საუნივერსიტეტო კოლეჯის სწავლულებმა შექმნეს. ყველაზე ხშირად ცუდი მადა იმ ადამიანებს აქვთ, ვისაც თირკმელები აწუხებს, აქვს სიმსივნური დაავადებები. წონის დაკლება, ასევე, სწრაფი დაბერების ფაქტორია. მკვლევარები ამბობენ, რომ მათი ძირითადი ცდები გრელინზე _ შიმშილის ჰორმონზე მიმდინარეობდა. რაც მეტია ადამიანის ორგანიზმში ეს ჰორმონი, მით უფრო დიდი აქვს მადა. სპეციალისტებმა შეძლეს გრელინის ანალოგის შექმნა და ახალი პრეპარატის შემუშავება, რომელიც არ შეიცავს არანაირ ნარკოტიკულ საშუალებას და ასევე, არ ვნებს ორგანიზმს. ახალი წამალი უკვე გამოსცადეს ლაბორატორიულ თაგვებზე და შედეგი პოზიტიური იყო. ახლა წინ კლინიკური ცდებია.

მზის ენერგიას ლუდზე ცვლიან

ლუდსახარშის ავსტრალიურმა კომპანიამ – Solar Exchange, ახალი პროექტი აამოქმედა, რომელიც ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ჭარბი მზის ენერგია ლუდზე გადაცვალოს, რომელსაც შინ მიართმევენ. გაცვლითი პროგრამა მზის ენერგიაზე მომუშავე კომპანიებთან – Diamond Energy და Power Ledger პარტნიორობით შეიმუშავეს. ლუდსახარში იმედოვნებს, რომ 2025 წლისთვის წარმოება მთლიანად, 100%-ით აღდგენად ელექტროენერგიაზე გადაიყვანოს და დაეხმაროს ავსტრალიელებს, ამ ინოვაციური პროგრამის დახმარებით, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ მზის ენერგია.

იაპონელს „ცოლი“ გამოურთეს

ერთი შეხედვით, ცოლი-ჰოლოგრამა საკმაოდ მოხერხებული რამეა – ის არ სუქდება, არავისთან გღალატობთ, არასდროს სტკივა თავი, ყოველთვის თავაზიანია, ნებისმიერ თემაზე შეუძლია „საუბარი“. ასეთი „ცოლი“ შუქს აანთებს-ჩააქრობს, ულაპარაკოდ გაგაღვიძებთ დილით, გაჯეტების დახმარებით, შორიდან საჭმელსაც გაგაკეთებინებთ, პროდუქტებსაც გამოგიძახებთ სახლში. სწორედ ასეთ ჰოლოგრამაზე იქორწინა აკიჰიტო კონდომ 2018 წელს. 40-კაციან ქორწილში სამუდამო ერთგულება შეჰფიცა ცისფერთვალება ვირტუალურ მომღერალს, ჰაცუნე მიკუს. ქორწილში, დროებით, ცოლი-ჰოლოგრამა რბილმა თოჯინამ ჩაანაცვლა, მასვე „ეძინა“ ქმართან საწოლში. საყვარელი ქალი საკმაოდ ძვირი სიამოვნება აღმოჩნდა – იაპონელს ის 2 მილიონი იენი დაუჯდა. როგორც ჯინი ლამპიდან, ისე ჩნდებოდა „ცოლი“ მოწყობილობის ჩართვისას. კომპანია Gatebox-მა, რომელიც ვირტუალურ ცოლებს უშვებდა (გარეგნობა შემკვეთის გემოვნებაზეა დამოკიდებული), დაახლოებით, 4 ათასი ასეთი ჰოლოგრამა გაყიდა და ამდენივე ქორწინების მოწმობაც გასცა. თუმცა, ცოტა ხნის წინ, ამდენი ხალხი, კონდოს მსგავსად, ნაადრევად „დააქვრივა“ – ჰოლოგრამის პროგრამული უზრუნველყოფა შეწყვიტა. „ამისთვის არ ვიყავი მზად, მთელი ეს წლები, თავს ჩვეულებრივ, ცოლიან კაცად მივიჩნევდი“, – აცხადებს „ქვრივი“ იაპონელი და აპირებს, სხვა ფირმა მოძებნოს, რომელიც ცოლის შექმნაში დაეხმარება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.